166

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის, და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ 65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში 85 კ., ქალაქს გარეშე—95 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“
განცხადებები: მონპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

დღიური

— ამერიკა მონაწილეობას მიიღებს მოკავშირეების ფინანსთა მინისტრების თათბირზე, რომელიც იანვარში გაიხსნება პარიზში.

— ლუქსემბურგიდან გადაასახლეს მრავალი კომუნისტები.

— ესპანეთის არმიის მდგომარეობა მაროკოში უიმედოა.

— [illegible]ირიომ განაცხადა, რომ [illegible] დანიშნული 10 იანვრისათვის.

— სომხეთში ჩავიდა ა.-კ. ცაკის კომისია.

ბიბლიოთეკა

შაბათი, 27 დეკემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 297 (1152)

ყვითელი მოწმობა

მკითხველი უკვე გაცნობილია გერმანიის რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატ ებერტის საქმეს და სასამართლოს განაჩენს მის შესახებ.

ეს შემთხვევა იმდენად დამახასიათებელია სოციალ-დემოკრატიის ბუნებისათვის, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მაზე კვლავ შეჩერება.

ერთმა მონარქიულ-ნაციონალისტურმა გაზეთმა ბ. ებერტს ბრალი დასდო სახელმწიფო ღალატში, რაც იმაში გამოიხატა—თითქო ებერტი 1918 წლის დასაწყისში მხარს უჭერდა სამხედრო მასალის დამამზადებელ ქარხნის მუშების გაფიცვას.

ეს ის დრო იყო, როცა კაცობრიობა იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტაში უკანასკნელ სისხლს აქცევდა, როცა კერძოდ გერმანიის მშრომელი ხალხის გაჭირვებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

მეორე მხრივ ეს ის დრო იყო როცა რუსეთის რევოლიუციონური, საბჭოთა ხელისუფლება ბრესტში საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიის იმპერიალიზმის გათავხედებულ წარმომადგენლებთან.

გერმანიის მუშათა კლასი, გამოყვანილი მოთმინებიდან თავისი აუტანელი მდგომარეობით და ოქტომბრის რევოლიუციის ზეგავლენით, თითქო ადგებოდა კლასობრივი გამოფხიზლების გზას, თავისუფლდებოდა შოვინიზმის ტყვეობიდან, თავს ანებებდა სისხლიანი ვილგელმისადმი მორჩილებას და ეძებდა გამოსავალს, ბერლინის ერთ-ერთ სამხედრო ქარხნის მუშების გაფიცვაც ამის გამოხატულება იყო.

მაგრამ აი აქ, გერმანიის იმპერიალიზმისათვის კრიტიკულ მომენტში, როცა მას საფრთხეს უმზადებდა მუშათა კლასის რევოლიუციონერი განწყობილების ზრდა, ვილგელმის მილიტარიზმის დამცველის როლში სწორედ სოციალ-დემოკრატები გამოვიდნენ.

ომის დასაწყისიდანვე მათ ხომ ტალახში ამოსვარეს კლასობრივი ბრძოლის დროშა, გასცეს მუშათა კლასის ინტერესები და იხმარეს მთელი თავისი იდეური და ორგანიზაციული გავლენა, რათა მშრომელთა მილიონებს დაექციათ სისხლი იმპერიალისტურ ბურჟუაზიის სასარგებლოდ, რათა ისინიც მუშები გამხდარიყვნენ „ზარბაზნის ხორცი“ ვილგელმის და მისი გენერლებისათვის. ბურჟუაზიის მოსამსახურის მოვალეობას ისინი გულმოდგინედ ასრულებენ დღემდე.

ეს საყოველთაოდ ცნობილია. ებერტის პროცესი იმითაა საგულისხმო, რომ მან მზეზე გამოიტანა სოციალ-დემოკრატების „მოღვაწეობის“ ბნელი კუნჭულები, მათი უძირო დაცემა, რომელიც ფართე მასისათვის არც ისე ცხადი იყო.

სოციალ-დემოკრატები ებრძოდნენ გაფიცვას, რათა მას „ქვეყნისათვის ზიანი არ მიეყენებია და სცდილობდნენ მის ჩქარა ლიკვიდაციას მთავრობასთან მოლაპარაკების გზით“ — აი, რას ამბობდნენ ებერტი და ამხანაგები პროცესზე, ე. ი. ისინი სცდილობდნენ, რათა სამხედრო მასალების დამზადება ერთი წუთითაც არ შეჩერებულიყო, რომ გერმანიის იმპერიალიზმს საშუალება ჰქონოდა სისხლის ღვრის გაგრძელების, კერძოდ რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ გალაშქრების, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ავაზაკური პირობების მოხვევის.

მაგრამ მუშების დაშოშმინება არც ისე ადვილი საქმე იყო. საჭირო იყო „დიპლომატიური“ მოქმედება. და ჩვენც ვხედავთ, რომ ებერტი, შეიდემანი და სხვები შედიან საგაფიცვო კომიტეტში ვითომ მუშების ინტერესების დასაცავად, ნამდვილად კი, როგორც ნამდვილი აგენტები ვილჰელმის მთავრობისა, ცდილობენ „შიგ ციხის გატეხას“, მუშების მოტყუილებას, მათ „შერიგებას“ მთავრობასთან, გაფიცვის ლიკვიდაციას.

მუშების საჯარო კრებებზე ისინი არ იშურებენ „რევოლიუციონურ სიტყვიერებას“. სიტყვით გაფიცვის მომხრენიც არიან, რათა მოიპოვონ მუშების ნდობა და მათ თვალები აუხვიონ, საქმით კი ეწევიან გამცემლურ, დამარღვეველ მუშაობას.

ისინი გამოდიან მაბეზღრების და პროვოკატორების როლში, ფარულად აქეზებენ როზა ლიუქსემბურგს, აკრძალვინებენ რევოლიუციონურად განწყობილ მუშების კრებას და სხ.

მაგრამ ყველაზე უფრო გასაოცარი ის არის, რომ ებერტი და კომპანია დღეს კი არ სცდილობენ ამ გამოუსყიდველი დანაშაულის გაქარწყლებას. პირიქით, მათ თავი მოაქვთ თავიანთი მოღალატური მოქმედებით და კანიდან ძვრებიან, რომ დაუმტკიცონ ბურჟუაზიას თავისი მონური ერთგულება. სასამართლოს პროცესზე ისინი უმტკიცებდნენ ბურჟუაზიას, რომ სოციალ-დემოკრატია ვილჰელმის მონა-მორჩილი იყო და მშრომელთა ინტერესების გამცემი. ებერტი, შეიდემანი და ძმანი მათნი „აღშფოთებული არიან“, ისინი შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს, რომ ბურჟუაზიამ მათ ერთგულებაში ეჭვი შეიტანა.

ებერტი და კომპანია მოითხოვდნენ ბურჟუაზიულ სასამართლოსგან ყვითელ მოწმობას, ისეთ ატესტაციას, რომელიც გაფანტავდა ყოველგვარ ეჭვებს, რომ თითქო მათ რაიმე დანაშაული მიუძღვოდეთ ვილგელმის რეჟიმის [illegible]. როცა იმ მასას, რომელიც ოფიციალურად მაინც თავის თავს ჯერ კიდევ მუშათა კლასის წარმომადგენლად აცხადებს, ასეთი ატესტაციის მიღება ბურჟუაზიისგან აუცილებელ და ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია,—აქ პირდაპირ არ იცი, რა უწოდო მათ. ამაზე უფრო შორს სოციალ-დემოკრატიის დაცემა წარმოუდგენელია.

დამაფიქრებელი აქ ის არის, რომ ბურჟუაზიის ასეთ აგენტებს, რომელთაც თვითონაც, თავისი ნებით შუბლზე მიიკრეს ეს სახელწოდება,— ჯერ კიდევ მისდევს გერმანიის მუშათა კლასის დიდი ნაწილი.

ხსენებული პროცესი გერმანიის პროლეტარიატს ერთ ზედმეტ მასალას აძლევს სოციალ-დემოკრატიის ზედაფენების სრულ ვინაობის გასაგებად. კომუნისტურ პარტიას კი მოუხდება ხანგრძლივი, სისტემატიური მუშაობის წარმოება მშრომელ მასებში, რათა სოციალ-დემოკრატიის მოღალატეობის მუდმივი მხილების გზით საბოლოოდ აუხილოს მათ თვალი ბურჟუაზიის ამ ერთგულ ლაქიებზე.

ყურადღება პარტიის ისტორიას

მთელმა პარტიამ ერთსულოვნად დაჰგმო ამხ. ტროცკის უკანასკნელი ლიტერატურული გამოსვლა, რომელიც ამახინჯებდა არა მარტო ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიას, არამედ ბოლშევიზმის მთელ ისტორიას და შინაარსს და ლენინიზმის მოძღვრების საფუძვლებს. პარტიამ გადაჭრით გაუსვა ხაზი, რომ შეუძლებელია ოქტომბრის ისტორიის ცალკე განხილვა ჩვენ პარტიის მთელ ისტორიასთან დაუკავშირებლად; არ შეიძლება ოქტომბრის ისტორიის განხილვა ისე, თუ მას არ დაუკავშირებთ ბოლშევიზმის განვითარების მთელ რევოლიუციამდე არსებულ პერიოდს, მის გაფთრებულ ბრძოლას რევოლიუციონურ მარქსიზმის გაყალბების, მენშევიზმის წინააღმდეგ. ამხ. ტროცკი მიუდგა ოქტომბერს ისე, რომ ანალიზი არ გაუკეთა ბოლშევიზმის წარსულ გმირულ ბრძოლას მომავალი ოქტომბრისათვის და ამიტომ მის მიერ 1917 წლის რევოლიუციის შეფასება აღმოჩნდა დამახინჯებული, და იგი გამოხატავდა ტროცკის და მის თანამოაზრეთა პატარა ჯგუფის ყველა შეცდომებს და მერყეობას. ამავე მიზეზით ამხ. ტროცკის ცდა გაეშუქებია ლენინიზმის პრაქტიკა ოქტომბრის რევოლიუციის გამოცდილების მიხედვით, აღმოჩნდა ლენინიზმის ფალსიფიკაცია, ლენინიზმის ტროცკიზმით შეცვლა.

პარტიამ და არა მარტო ჩვენმა პარტიამ, არამედ კომინტერნის ყველა დიდმა სექციებმა ღირსეულად შეაფასეს ამხ. ტროცკის წიგნები და გადაჭრით უარყვეს ყოველგვარი ცდა ლენინიზმის შესწორებისა, რაც აუცილებლათ იწვევს ბოლშევიზმის საფუძვლების დამახინჯებას. ახალგაზრდა კომუნისტები, რომელთა პარტიული ცხოვრება დაიწყო მხოლოდ ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენთან ერთად აწარმოებენ ბრძოლას ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ. მაგრამ ისინი ამ შემთხვევაში უფრო ხელმძღვანელობენ მხოლოდ და მხოლოდ კლასიური ინსტინქტით და პარტიის ცეკასადმი უსაზღვრო ნდობით.

მაგრამ ცუდი იქნებოდა ჩვენი პარტია, თუ ის დაემყარებოდა მხოლოდ პარტიულ მასის ინსტინქტზე,—ინსტინქტზე, რომელსაც თან არ სდევს შეგნება, რწმენა. „თეორეტიულ საკითხების სტიქიურად შეთვისება“ არ ამტკიცებს ამ შეთვისების სიმტკიცეს.

ბოლშევიკური პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა თეორიის საკითხებს. სამოქალაქო ომის და საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობის პერიოდი იყო ძალაუნებურად ინტენსიურ პრაქტიკულ მუშაობის პერიოდი. ეხლა ჩვენ მოვექეცით ისეთ პერიოდში, როცა თეორიის საკითხები ისევ პირველ რიგში სდგებიან და ეს საკითხები უნდა გახდენ პარტიულ მუშაობის მნიშვნელოვან საკითხად. სწავლა, პროპაგანდა ამჟამად წარმოადგენს დამახასიათებელ და ყველაზე არსებით მხარეს პარტიულ ცხოვრებაში. სკოლებში, წრეებში და კურსებზე მუშავდება მარქსიზმის და ლენინიზმის საფუძვლები.

ჩვენმა პროპაგანდამ დიდი ხანია რაც უარჰყო პოლიტიკურ ცოდნათა მიღების სქოლასტიური მეთოდები,— პირველყოფილ კომუნიზმიდან სწავლის დაწყების მეთოდები. ჩვენმა პროპაგანდამ უკანასკნელ ხანებში მიიღო უფრო კონკრეტული და ასე ვთქვათ, საჭირბოროტო ხასიათი. იგი გამომდინარეობს პირობებიდან, ფაქტებიდან, მოვლენებიდან, რომელიც მოცემულ მომენტში აინტერესებს მუშას—პარტიის წევრს.

განა საჭიროა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ამ ჟამად ტროცკიზმის საკითხი წარმოადგენს ისეთ საკითხს, რომელიც ყველაზე უფრო აინტერესებს ჩვენი პარტიის ახალ კადრებს და მთელ მუშათა ახალგაზრდობას. მათთვის ჩვენი პარტიის ისტორია რევოლიუციამდე—დახურული წიგნია. საჭიროა ამ წიგნის გადაშლა და სპეციალურად იმ გვერდებზე შეჩერება, რომელიც მოგვითხრობს მენშევიზმის და მის ერთ-ერთ სახის— ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამბავს.

საჭიროა სერიოზულათ შევისწავლოთ პარტიის ისტორია და მისი შესწავლა საჭიროა არა ილოვაისკის მეთოდით (გვქონდა და გვაქვს ჩვენ ეს მეთოდი პარტიულ ისტორიის წარმოშობის პრაქტიკაშიც: ამა და ამ წელს იყო ასეთი და ასეთი ყრილობა და სხვ.) არამედ საჭიროა თეორეტიულად დასაბუთებული იყოს პარტიის განვითარების ეტაპები, გამოჰქლავნდეს ბოლშევიზმის რევოლიუციონური კლასიური შინაარსი და მკაფიოდ იქნას გაშუქებული უთანხმოებათა მომენტები მენშევიზმის და ბოლშევიზმის პოზიციის სრული გამოაშკარავების მიზნით.

პარტიის კამათმა ამხ. ტროცკისთან აამოძრავა პარტიული ახალგაზრდობის მთელი მასა, რომელმაც გამოიჩინა უდიდესი ინტერესი პარტიის ისტორიისა და თეორიის საკითხებისადმი. ეს ლტოლვა ცოდნისაკენ საჭიროა დაკმაყოფილებული იქნას.

ხ. ი.

გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტები (გლეხკომები)

2. გლეხკომების ორგანიზაცია

პირველ წერილში („კომუნისტი“ № 296) ჩვენ აღვნიშნეთ გლეხკომების საერთო ხასიათი, ახლა გავეცნოთ მის ორგანიზაციას (წყობას). სოფლის, ანუ თემის მოსახლეობის ყრილობებზე უნდა იქნეს წამოყენებული საკითხი გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტის მოწყობა-დაარსების შესახებ. ინსტრუქტორი აქვე აკეთებს მოხსენებას გლეხკომის ამოცანების და მიზნების შესახებ. მოხსენების შემდეგ ყრილობაზე გაიმართება კამათი, რომელიც მიიღებს საჯარო ხასიათს. ამ საკითხის ირგვლივ გახსნილ კამათში აუცილებლათ მონაწილეობა უნდა მიიღოს მშრომელი გლეხკაცობის ფართე მასამ. საკითხის ყოველ მხრივი გამოკვლევის და გაშუქების შემდეგ კენჭის ყრით უნდა იქნეს გადაჭრილი საკითხი გლეხკომის დაარსების შესახებ. თუ უმრავლესობამ ყრილობაზე ხმა მისცა გლეხკომის მოწყობა-დაარსების სასარგებლოთ, მაშინ დანარჩენებისათვის ამ გადაწყვეტილების მიღება სავალდებულოა. მაგრამ თუ ყრილობის უმრავლესობამ დადგენილება მიიღო, რომ საჭირო არ არის სოფელში ანუ თემში გლეხკომის მოწყობა და მხოლოდ უმცირესობამ ხმა მისცა გლეხკომის დაარსების საჭიროებას, მაშინ უმრავლესობის დადგენილება ტარდება ცხოვრებაში და უმცირესობის სურვილი გლეხკომის დაარსების შესახებ განუხორციელებელი რჩება.

ასეთი წესით მოხდენილი არჩევნები გამომხატველია გლეხობის ფართო მასის კოლექტიური ნება-სურვილის. საქართველოში ჯერ ადგილი არ ჰქონია არც ერთ თემში, ანუ სოფელში, რომ მშრომელ გლეხკაცობას გლეხკომის მოწყობა-დაარსებაზე უარი ეთქვას. გლეხკომების მოწყობის წინააღმდეგ ჩვენში ილაშქრებენ მხოლოდ სოფლის ჩარჩები, ეგრეთ წოდებული კულაკები, რაც ბუნებრივია.

როცა სოფლის ანუ თემის ყრილობაზე გლეხკომის დაარსების შესახებ მიღებული იქნება დადებითი გადაწყვეტილება, მაშინ ადგენენ გლეხკომის სიას—7—9 კაცისაგან შემდგარს და ამ სიას უდგენენ ყრილობას სათანადო გადაწყვეტილების მისაღებათ. კანდიდატების სია უნდა იქნეს შედგენილი დიდი დაკვირვებით და სიფრთხილით, რომ შიგ არ მოჰყვენ სოფლისთვის არა სასურველი პირები. გლეხკომში უნდა შეიყვანონ ისეთი ამხანაგები, რომელთაც სოფელში აქვთ მოხვეჭილი სიყვარული და რომელთაც გლეხები უყურებენ ნდობის თვალით. სასურველია გლეხკომში წევრების ერთი მესამედი გაყვანილი იყვნენ გლეხის ქალები. გლეხკომებში სოფლად აგრეთვე არჩეული უნდა იქნენ ისეთი ინტელიგენტური ძალები, რომელნიც მუშა-გლეხურ ხელისუფლებას ნდობით უყურებენ და მასთან ენერგიულათ და კეთილსინიდისიერათ მუშაობენ. ამავე ყრილობაზე უნდა იქნეს არჩეული სარევიზიო კომისია ოთხი პირიდან, ამათში სამი იქნება კომისიის ნამდვილი წევრი, ერთი კი ჩაირიცხება კანდიდატათ. სარევიზიო კომისიაში წევრებათ უსათუოდ მეტად საიმედო და პატიოსანი პირები უნდა იქნენ არჩეული. ის სოფელი, რომელიც 80 კომლზე ნაკლებ მოსახლეობიდან შესდგება, გლეხკომების ასარჩევათ უნდა შეუერთდეს ერთ-ერთ ახლობელ სოფელს და მათთან ერთად უნდა აირჩიოს გლეხკომი.

გლეხკომი აუცილებლად ახლოს უნდა იყოს სოფლის მცხოვრებლებთან, რომ მან უკეთ შესძლოს კარგათ ადევნოს თვალყური სოფლის გაჭირვებას, დალხინებას და საქმიანობას. თუ თემი შესდგება 4—5 სოფლიდან მაშინ თვითეულ სოფელმა უნდა აირჩიოს თითო ანუ ორი წარმომადგენელი სათემო გლეხკომში. სათემო გლეხკომა ევალება ორგანიზაციული მხრით საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს მის ფარგლებში მომუშავე ყველა სოფლის გლეხკომებს. სათემო გლეხკომის არჩევა შეიძლება ორი გზით. თვითეული გლეხკომი აირჩევს ერთ ანუ ორ წარმომადგენელს თემის გლეხკომისათვის, შეიძლება ასეც— გაიმართება თემში მომქმედი ყველა გლეხკომების კონფერენცია და ამ კონფერენციაზე იქნება არჩეული სათემო გლეხკომი.

გლეხკომის ორგანიზაციულ დარგში უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება შემდეგს: 1) ადგილობრივმა სასოფლო საბჭომ, აღმასკომმა და პარტიულმა ორგანიზაციამ თვალყური ადევნონ გლეხკომის მუშაობას და მიიღონ ისინი თავიანთი მფარველობის ქვეშ, გლეხკომებსა და სხვა ზემო [illegible] დაწესებულებათა [illegible] ნეს დავიწყებული ის გარემოება, რომ გლეხკომები არიან საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულებანი. საბჭოთა ორგანოები და პარტიული დაწესებულებანი ადმინისტრატიული წესით არ უნდა ჩაერიონ გლეხკომების საქმეებში, (რა თქმა უნდა გამონაკლისი უნდა იქნეს დაშვებული იმ შემთხვევებში, თუ გლეხკომების მიერ ჩადენილი იქნება სისხლის სამართლის დანაშაული) წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოვსპობთ სოფლის მშრომელი გლეხკაცობის თვითმოქმედებას. ხელმძღვანელობა და კონტროლი გლეხკომების—საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებების მხრივ განხორციელებული უნდა იქნეს მხოლოდ წარმომადგენლების შეყვანით გლეხკომის შემადგენლობაში (სიის შედგენის დროს). სასურველია გლეხკომებში არჩეული პირები მუშაობდენ უსასყიდლოდ, ანუ თავის თანამდებობის შეთავსებით მანამ, სანამ ისინი (გლეხკომები) ნივთიერათ მოღონიერებული არ იქნებიან. უკიდურეს შემთხვევაში ჯამაგირი უნდა მიეცეს მხოლოდ სოფლის გლეხკომის მდივანს. გლეხკომებში მუშაობა-მოღვაწეობა კარგათ უნდა იცოდეს გლეხკომის თვითეულმა წევრმა, უფლება-მოვალეობანი სასოფლო და სათემო გლეხკომების აუცილებლათ განსაზღვრული უნდა იქნეს. სასოფლო გლეხკომი განაგებს ურთიერთ დახმარების გაცემის მთელ პრაქტიკულ მხარეს, მხოლოდ სათემო და სამაზრო გლეხკომების მოვალობას შეიცავს ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს ყველა ქვემდებარე ძირითად გლეხკომებს.

სოფლის გლეხკომებმა თავიანთი საერთო ფონდიდან 10 პროც. უნდა გადასცენ სათემო და სამაზრო გლეხკომს ხელმძღვანელობის და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავათ.

სოფლის გლეხკომებმა მთავარი საკითხების განხილვაში მონაწილეობა უნდა მიაღებინონ გლეხების ფართე წრეებს, ასეთი წესით განმტკიცდება მჭიდრო კავშირი სოფლის გლეხკომსა და სოფლის მშრომელთა შორის, რაც მეტად საჭირო, აუცილებელია.

სოფლის გლეხკომში არჩეული პირები ყოველთვის ვერ შეიკრიბებიან და ეს არც არის საჭირო, ამიტომ საჭიროა პრეზიდიუმის არჩევა 3 ან 5 პირს შემადგენლობით რომელიც ყოველწლიურ მუშაობას გაუწევს ხელმძღვანელობას. პრეზიდიუმი კვირაში უსათუოდ უნდა შეიკრიბოს ორჯელ, მხოლოდ გლეხკომის მთელი შემადგენლობა, პლენუმი კვირაში ერთხელ. სოფლის გლეხკომებმა კანონად უნდა მიიღონ—დროგამოშვებით სოფლის გლეხკაცობის საჯარო ყრილობებს გაუკეთონ დაწვრილებითი მოხსენებები თავიანთი მოღვაწეობა საქმიანობის შესახებ.

ქ. ხომერიკი.

ქიმიური ომი

1. ქიმიის მნიშვნელობა მომავალი ომების დროს

ჩვენ სურვილი არა გვაქვს გადაჭარბებულად შევაფასოთ ავიაციის და ქიმიური იარაღის როლი მომავალ ომში, მაგრამ ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ წარსული ომის გამოცდილებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საჰაერო-ქიმიური იარაღს უდიდესი მნიშვნელობა ექნება მომავალ ომებში. ამ ჟამათ სამხედრო საქმის არც ერთი დარგი არ სარგებლობს მთელი მსოფლიოს სამხედრო მინისტრების ისეთი განსაკუთრებული ყურადღებით და ზრუნვით, როგორც ავიაცია. ახალი ომებისათვის გაფაციცებული მზადების დროს, მილიტარისტული სახელმწიფოები, რომლებიც გამარჯვებული გამოვიდნენ 1914—18 წლების ომიდან, ადიდებენ თავის საჰაერო ბიუჯეტს, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ საქმეში და გულმოდგინეთ მუშაობენ, რომ გამოიყენონ წარსული ომის საჰაერო ბრძოლის გამოცდილება. ავიაციის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე არის დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყნის გამარჯვება ან დამარცხება.

ძნელია თქმა იმის, თუ როგორ ფორმებს მიიღებს მომავალი საჰაერო ომი. ყოველ შემთხვევაში მებრძოლ სახელმწიფოების შეიარაღებული საჰაერო ძალები ომის დაწყებისთანავე გაჩნდებიან მოპირდაპირის ზურგში. ისინი შეეცდებიან გაანადგურონ სამხედრო მრეწველობა, დაანგრიონ მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრები, ნავთსადგურები, გზები და სხვა. ამას შედეგათ მოჰყვება ის, რომ ხალხის შინაგანი წინააღმდეგობა ჩქარა შესუსტდება და მთავრობა იძულებული იქნება ქედი მოიხაროს გამარჯვებულის წინაშე.

სამხედრო ჰაეროპლანები იმოქმედებენ ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერებით ანდა ხანგრძლივათ მომქმედ მხრჩოლავ გაზებით გატენილ ყუმბარებით.

„ერთ მშვენიერ ღამეს,—ვკითხულობთ ჩვენ ინგლისის პარლამენტთან არსებულ საჰაერო თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოხსენებაში,—ოთხასი—ხუთასი აეროპლანი, [illegible] კი დაუცდის ომის გამოცხადე[illegible] არის, და თავს დაესხმიან ჩვენს ქალაქებს 200—300 კილომეტრის სიჩქარით საათში; ამასთანავე ისინი ისეთ სიმაღლეზე იქნებიან, რომ მათი დანახვა შეუძლებელი იქნება. თვითეულ ასეთ აპარატს შეუძლია ჩამოაგდოს ყუმბარა, რომელშიაც იქნება 50 ფუთამდი ასაფეთქებელი ნივთიერება, ერთი ასეთი ყუმბარა საკმარისია, რომ განადგურებული იქნეს ლონდონის რამოდენიმე უბანი. ყუმბარებს ისეთის სისწორით ჩამოყრიან, რომ 6.000 ფუტის სიმაღლეზე მყოფ ჰაეროპლანიდან შეიძლება ყუმბარის ჩაგდება სამხედრო გემის მილში“.

ასევე ახასიათებენ ზოგიერთი სამხედრო სპეციალისტები მხრჩოლავი გაზების გამანადგურებელ მოქმედებასაც. „ეხლა ანგარიში უნდა გავუწიოთ,—სწერს გერმანელი გენერალი ფონ-ლაიმლინგი, —ისეთი მხრჩოლავი გაზების არსებობას, რომელთა მოქმედება ასჯერ აღემატება იმ უძლიერეს გაზების მოქმედებას, რომლებიც გამოყენებული იყო საერთაშორისო ომის დროს“.

ამერიკაში გამოგონებულ გაზ „ლევიზიტ“-ისაგან თავის დაცვა არ შეიძლება არავითარი ნიღაბებით. საკმარისია ასეთი გაზით გატენილი 12 დიდი ყუმბარა, რომ მოკლე დროის განმავლობაში მოსპობილი იქნეს სიცოცხლის ყოველგვარი ნიშნები ისეთ ქალაქში, როგორიც არის ჩიკაგო ანდა ბერლინი. სარდაფებშიც კი არ შეიძლება თავის დაფარვა, რადგან ეს გაზი მძიმეა, ის ეშვება მიწაზე და ჩადის მიწის ქვევითაც. ის ანადგურებს ყოველგვარ მცენარეულობას და სწამლავს წყალს. აშკარაა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ავიაცია და ქიმია განვითარებული არ არის, მეტად ძლიერი, სხვა ტეხნიკური იარაღებით კარგად შეიარაღებული და მტკიცე დისციპლინიანი ქვეითა ჯარიც კი სუსტი აღმოჩნდება ბრძოლაში. ის ადგილი, რომელიც დაცული არ არის ქიმიური საშუალებებით, შეიძლება მხრჩოლავი გაზების მოქმედების რაიონათ გახდეს; ეს გაზები კი იჭრებიან მიწაში და მეტად დიდხანს რჩებიან ტანსაცმელში და ჰაერში; ისინი ანადგურებენ ყოველგვარ მცენარეულობას, სწამლავენ წყალს, კლავენ ყოველგვარ ცოცხალ ორგანიზმს. [illegible] ზონათ გადააქცევენ იმ რაიონს, სადაც ისინი მოქმედობენ და იქ ვერ გაივლის ვერავითარი არმია, თუ ის შეიარაღებული არ არის ნიღაბებით.

2. ქიმიური ომი და მრეწველობა

გაზებით ომი წარმოადგენს უდიდეს საშიშროებას, რომელიც კაცობრიობას უქადის უდიდეს ნგრევას. აი ამიტომ თავდაცვის და შეტევის ქიმიური საშუალებების განვითარებას ჩვენ უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ. მაგრამ ამასთანავე ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, როგორც ეს ნათლად სჩანს გერმანიის და ამერიკის მაგალითიდან, რომ სამხედრო ქიმიის განვითარება მჭიდროდ დაკავშირებულია ქიმიური მრეწველობის განვითარებასთან საერთოდ.

მხოლოდ ის ქვეყანა გამოვა გამარჯვებული მომავალი ქიმიური ომიდან, რომელსაც განვითარებული ქიმიური მრეწველობა ექნება. ამიტომ არის, რომ ყველა იმპერიალისტური მთავრობები ეხლა ისეთივე გულმოდგინებით სცდილობენ გააძლიერონ ქიმიური მრეწველობა, როგორც ომამდი აძლიერებდენ ლითონის მრეწველობას თავის ქვეყანაში; ამასთანავე ისინი, რასაკვირველია, არ ივიწყებენ მძიმე ინდუსტრიასაც, რომელთანაც მჭიდროთ დაკავშირებულია ქიმია.

აი ამიტომ იყო, რომ ინგლისის მთავრობამ, რომელიც დარწმუნდა გერმანიის ქიმიური მრეწველობის სიძლიერეში, რომელიც ვერ გასტეხა ვერც ვერსალის ხელშეკრულებამ და ვერც რურის ოკუპაციამ, უარყო ლეფებიურეს და მისი მომხრეების ფანტასტიური გეგმა გერმანიის ქიმიური მრეწველობის განადგურების შესახებ და, პირიქით, დაადგა იმ ხელშეკრულებებისათვის მზარის დაჭერის გზას, რომლებიც შეეხება კავშირის დამყარებას ინგლისის და გერმანიის ქიმიურ ტრესტებს შორის. აი ამიტომ იყო, რომ პუანკარეს მთავრობაც კი, რომელიც დარწმუნდა იმაში, რომ რურის ოკუპაციამ მისი მშვენიერი ნახშირით, რომელზეც არის დამოკიდებული გერმანიის მთელი ქიმიური მრეწველობა, სრულიად ვერ მოკლა გერმანიის ქიმიური მრეწველობა, დაადგა გერმანიის ქიმიური ტრესტებთან ნაწილობრივი შეთანხმებების დადების გზას.

არის თუ არა საბჭოთა კავშირში ხელსაყრელი პირობები ქიმიური მრეწველობის შესაქმნელათ და გასანვითარებლათ? ასეთი პირობები საბჭოთა კავშირში უეჭველათ არის. საერთაშორისო ომამდი რუსეთს თითქმის სრულებით არ ჰქონია ქიმიური მრეწველობა და ქიმიური ინდუსტრიის ყოველგვარ პროდუქტებს ის გერმანიიდან იღებდა.

ქვეყნის ქიმიური თავდაცვა გაცილებით ნაკლებ საშუალებებს მოითხოვს, ვიდრე მექანიკური, როგორიც არის ზარბაზნების, ტყვიისმფრქვევლების და სხვა იარაღების დამზადება. ამიტომ ჩვეულებრივი ქიმიური მრეწველობის შექმნა იმ აზრით, რომ როდესაც საჭიროება მოითხოვს, ის გადავიდეს სამხედრო დროის ამოცანების შესრულებაზე—უფრო ადვილია და ჩვენ ყველა შანსები გვაქვს იმისათვის, რომ განვავითაროთ საბჭოთა კავშირში ქიმიური მრეწველობა.

ჩვენ მრავლათ გვაქვს ნედლი მასალა, გვაქვს გამოცდილება, გვაქვს ქარხნები, რომელთა მუშაობა უნდა გავაცხოველოთ და მივმართოთ მშვიდობიანი დროის ქიმიური მრეწველობის შექმნისაკენ.

ქიმიური მრეწველობა ჩვენთვის აუცილებელია იმისათვის, რომ დავიცვათ საბჭოთა კავშირი იმპერიალისტური მტაცებლებისაგან, განსაკუთრებით კი იმისათვის, რომ გავაძლიეროთ ჩვენი მეურნეობის ნაყოფიერება.

მ. პ.

ინჟინერთა ასოციაციის ყრილობები

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

ტეხნიკი და ინჟენერი დასაბამიდანვე მუშათა კლასის საექსპლოატაციო ცოცხალ ინსტრუმენტს წარმოადგენდა კაპიტალისტის ხელში. კაპიტალისა და შრომის ბრძოლაში ინჟენერი დირექტორი, ან ინჟენერი ცეხის გამგე მუდამ ფაბრიკანტის გვერდით იდგა და მის კეთილდღეობას თავს ევლებოდა.

აქედან ცხადია ის ანტაგონიზმი, რომელსაც ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული მუშათა მასების და ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალს შორის. მისი გავლენა დღესაც კიდევ არ გამქრალა სავსებით, როცა ფეხს იკიდებს წითელ დირექტორობის ინსტიტუტი და მეურნეობაში ადმინისტრატიული მაღლობების მნიშვნელოვანი პროლეტარიზაცია მოხდა.

მაგრამ განსაკუთრებულ სიმწვავით იჩინა თავი ამ ანტაგონიზმმა ოქტომბრის დღეებში. ინჟენერს და ტეხნიკს პროლეტარიატის გამარჯვება გარდამავალ ისტორიულ გაუგებრობათ მიაჩნდათ და მის ბრძანებლობის ქვეშ მუშაობა ეთაკილებოდათ.

„როგორც კი მუშები დაიჭერენ ფაბრიკა-ქარხნებს და შემოღებულ იქნება მუშათა კონტროლი, ყველა ტეხნიკებმა და ინჟენერებმა უნდა აიღონ ხელი მუშაობიდან“,—ასე ამბობდა ინჟენერთა კავშირის რეზოლიუცია ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებში.

ამნაირათ, ახალ, სოციალისტურ მეურნეობის აღმშენებლობის საქმეში საბჭოთა ხელისუფლებას წინ გადაეღობა ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებათაგანი. ინჟენერთა კავშირის მუქარა უბრალო დეკლარატიულ ჟესტათ არ დარჩენილა. მეურნეობის მთელ ფრონტზე დაიწყო ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ აპარატის შეგნებული საბოტაჟი.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ინტელიგენციის გულცივობაზე და ზოგჯერ აშკარა მტრობაზე ლაპარაკობდა, ყველაზე მეტად ეს მეურნეობაში მომუშავე ელემენტებს შეეხებოდა. საბოტაჟის უარყოფითი შედეგები ყველაზე უფრო ამ ფრონტიდან ემუქრებოდა რევოლიუციას.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ეხლა? ამაზე ყველაზე უკეთ პასუხს იძლევა წარმოებაში მომუშავე კვალიფიციური ინტელიგენცია. ამ დღეებში აქ შესდგა საბჭოთა ინჟენერების ორი ავტორიტეტული ყრილობა,—პირველი სრულიად რუსეთის და მეორე —ინჟენერთა სრულიად საკავშირო ყრილობა. ინჟენერთა ასოციაცია დიდი უმრავლესობით დიპლომიან პირებისაგან შესდგება და, როგორც ასეთი, ეს ორგანიზაცია დამახასიათებელია საზოგადოთ მთელი ინტელიგენციის დღევანდელი სულისკვეთების და პოლიტიკურ მიდრეკილებისათვის.

ორივე ყრილობაზე სრული ერთსულოვნება იყო საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების საკითხში. უმთავრესი ყურადღება, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დათმობილი ჰქონდა საბჭოთა მეურნეობის სადღეისო საჭირბოროტო კითხვებს.

ვინ არ იცის, რა დიდია ინჟენერ-ორგანიზატორის მნიშვნელობა შრომის ნაყოფიერების მომატების საქმეში. დღეს ბევრს ლაპარაკობენ მრეწველობის მექანიზაციის შესახებ. აქ ინჟენერებს თავის ცოდნით დიდი სამსახური შეუძლიათ გაუწიონ მეურნეობას.

მაგრამ ამასთან ერთად თანამედროვე ინჟენერის მუშაობა სულ სხვა პირობებში უნდა მიმდინარეობდეს, ვიდრე ეს წინად იყო. პირველყოფილისა დღევანდელი სინამდვილე ინჟენერისაგან ითხოვს არა მხოლოდ სპეციალურ მომზადებას და ადმინისტრატიულ ზედამხედველობას, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობასაც.

ფაბკომები, პარტიული უჯრედები, საწარმოო თათბირები და სხვა —ამ ახალ საზოგადოებრიობის ორგანოები საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნებში. ძველი ინჟენერი, რომელიც კანტორიდან განაგებდა საქმეს და ხანგამოშვებით ექსკურსიებს ახდენდა ცეხებში და დაზგებთან, სრულიად მიუღებელი რჩება ჩვენს პირობებში.

ამ საკითხზე განსაკუთრებით შეჩერდა თვით ინჟენერთა ყრილობაც. ყოველი კუთხიდან სჩიოდენ დელეგატები, რომ კანცელარია ჰკლავს მათ ცოცხალ მუშაობას, რომ ქაღალდის ნიაღვარში იხშობა ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელად მიმართული ყოველი მათი ცდა. ბევრი დელეგატები საკუთარ მუშაობის მაგალითებით ამტკიცებდენ რა ანეკდოტურ ხასიათს ღებულობს „კანცელიარშჩინა“ ზოგიერთ ადგილას.

გარდა ამისა დღემდი კიდევ მოუგვარებელია ინჟენერთა ხელფასის კითხვა. ინჟენერების ჯამაგირი დამოკიდებულია არა მარტო მათ სპეციალობაზე და მომზადებაზე, არამედ იმ წარმოებაზეც, რომელშიაც მათ უხდებათ მუშაობა. მაგალითად, ტრანსპორტის ინჟენერი და სოფლის მეურნეობაში მომუშავე ტეხნიკური პერსონალი ბევრათ ჩამორჩენილია უკან მძიმე ინდუსტრიის ან სხვა დარგის ინჟენერისაგან ჯამაგირის მხრივ. ამ მხრივ ყრილობამ განსაკუთრებული დავალება მისცა ბიუროს საკითხის მოსაწესრიგებლათ.

მთავარი ადგილი ეჭირა ყრილობის მუშაობაში ინჟენერის მასასთან დაკავშირების კითხვას. ამხ. ბუხარინის ვრცელი მოხსენება ამ მომენტზე იყო აშენებული. ცოდნა ტეხნიკასთან დაკავშირებული, თეორია პრაქტიკასთან შეღუღებული, ფართე საზოგადოებრივი მოღვაწეობა, სრული კონტაქტი წარმოების ადგილობრივ პოლიტიკურ, პროფესიონალურ და კულტურულ ორგანიზაციებთან,—ასეთია ორივე ყრილობის დირექტივა საბჭოთა ტეხნიკოსებისა და ინჟენერებისადმი.

[illegible]

მოსკოვი, 15 დეკემბერი.

საბჭოების მუშაობის გამოსაცოცხლებლად

(საბჭოთა კავშირის ცაკთან საბჭოთა მუშაობის მომწესრიგებელ თათბირის გამო)

საუბარი ამხ. მ. ცხაკაიასთან

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ა.-კავკასიის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. მიხა ცხაკაიას, რომელმაც საბჭოთა კავშირის ცაკთან საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების მომწესრიგებელ თათბირის მოწყობის მნიშვნელობის შესახებ შემდეგი განაცხადა:—მნიშვნელობა ამ თათბირის, რომელიც ეხლახან დაარსდა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, მეტად დიდია.

მიიღო რა მხედველობაში საბჭოთა ხელისუფლების მთელი შინაური პოლიტიკის ყველაზე მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა—მუშებსა და გლეხებს შორის კავშირის განმტკიცების საჭიროება, რადგან ამ კავშირს ეყრდნობა საბჭოთა ხელისუფლება,—რუსეთის კომპარტიის მე-13 ე ყრილობამ დირექტივები მისცა მთელს პარტიას,—საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელს,—რომ მან მთელი თავისი ყურადღება მიაპყროს მუშაობას სოფლად.

საბჭოთა კავშირის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ სოფლის მცხოვრებლები, რომლებიც წინათ საშინლად დაბეჩავებული, გაუნათლებელი და ეკონომიურად ჩამორჩენილი იყვნენ.

ქვეყნის მართვა-გამგეობაში და აღმშენებლობაში გლეხთა ფართო მასების ჩასაბმელად ჩვენ უნდა მოვსპოთ სიბნელე სოფლად. თუ სავსებით არა, ყოველ შემთხვევაში მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი წერა-კითხვის უცოდინარობა, და პოლიტიკური უცოდინარობა, რათა გამოღვიძებული სოფლის აქტივი განმსჭვალული იქნეს პროლეტარიატის დიქტატურის და კომპარტიის ხელმძღვანელობის აუცილებლობის შეგნებით.

ამიტომ არის, რომ სოფლის საკითხი, საბჭოთა აღმშენებლობის საკითხი დასმულია ამ ჟამად დღის წესრიგში, როგორც მიმდინარე მომენტის უმთავრესი ამოცანა.

საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების მომწესრიგებელმა თათბირმა თავის მუშაობაში პირველი ადგილი უნდა დაუთმოს მთელი ჩვენი აპარატის, განსაკუთრებით პირველი საფეხურის აპარატის ნაკლულოვანებათა გამორკვევას.

უნდა გამორკვეულ იქნეს დაწვრილებით, თუ როგორ მდგომარეობაში არიან ჩვენი სასოფლო საბჭოები, როგორ ხდება მათი არჩევნები, ხომ არ ღებულობენ პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობას ამ არჩევნებში კულაკები, ხომ არ ახდენენ ისინი თავის ზეგავლენას საშუალო გლეხობაზე, შეკავშირებული არიან თუ არა მოჯამაგირეები, თუ არიან ისინი დაკავშირებული საშუალო ელემენტებთან, თუ არიან ჩაბმული საბჭოების მუშაობაში უპარტიო გლეხები.

შემდეგ უნდა გამორკვეულ იქნეს, თუ არის შემუშავებული სათემო აღმასკომების ადგილობრივი ბიუჯეტი, როგორ არის განაწილებული საშემოსავლო ნაწილი, რამდენად ხმარდება ბიუჯეტის შემოსავალი სოფლების კეთილდღეობას, ელექტროფიკაციას, გზების გაყვანას, სკოლების გახსნას, კოოპერაციის განვითარებას, სამეურნეო დაწესებულების მოწყობას და სხვ.

თუ არის მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი განაწილებული კლასობრივი თვალსაზრისით; თუ არიან გლეხკორები, რა ადგილი უჭირავთ მათ სოფლად, თუ ირჩევენ საუკეთესო მათგანს მოწინავე პოსტებზე, რამდენად გაძლიერდა სასოფლო მუშაობაში ქალის როლი; თუ არიან ჩაბმული ქალები ისევე, როგორც უპარტიო გლეხები არა მარტო სასოფლო საბჭოებში, არამედ აგრეთვე სათემო აღმასკომებში, სამაზრო აღმასკომებში და ასე თვით საბჭოთა კავშირის ცაკამდე. ყოველივე ამიდან სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირის ცაკთან დაარსებულ თათბირს.

ჩემი აზრით, ასეთივე თათბირები უნდა დაარსებულ იქნენ საკავშირო რესპუბლიკების ცაკებთან. ეს თათბირებიც ისეთივე ტიპის უნდა იყვნენ, როგორიც არის საბჭოთა კავშირის ცაკთან დაარსებული თათბირი; თავის მხრივ რესპუბლიკანურ თათბირებს ეყოლებათ წარმომადგენლები თვით ფართო მასებში, რათა უკანასკნელები ჩაბმული იქნენ საბჭოთა აღმშენებლობაში ადგილობრივ ყოფა-ცხოვრების, ეკონომიურ და ნაციონალურ თავისებურობის მიხედვით. ასეთი მუშაობა სოფლად საშუალებას მოგვცემს შევარჩიოთ საუკეთესო, ცოცხალი და აქტიური ელემენტები მართვა-გამგეობის საქმისათვის, მთავარი საკითხის—სოფლის და ქალაქის კავშირის—გადასაჭრელად.

ეს მუშაობა მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია. საბჭოებში მუშათა და გლეხთა ფართო მასების ჩაბმის საქმეში ყველა საკავშირო რესპუბლიკები გამოიჩენენ მაქსიმალურ ენერგიას და ინიციატივას, რათა ამით განამტკიცონ საბჭოთა კავშირის პროლეტარული რევოლიუციის ციხე-სიმაგრე, რომელზედაც კისერს მოიტეხენ საერთაშორისო იმპერიალისტები.

გერმანია და ანტანტა

ვერსალის ხელშეკრულებას ეთამაშებიან.

ნაუენი, 26 დეკ. საფრანგეთის ოფიციალური ცნობით, ერიომ 24 დეკემბერს მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გამოაქვეყნა ცნობა კელნის ზონის დაცლის შესახებ. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის მთავრობა, გერმანიიდან მიღებული ცნობების გამო, იძულებული ხდება განაცხადოს, რომ კელნის ზონის დაცლა 10 იანვრისათვის შეუძლებელია.

გერმანიის პრესა აღელვებულია ამ ცნობით და ერთსულოვნად ამტკიცებს, რომ ასეთი გადაწყვეტილება არის ვერსალის ხელშეკრულების აშკარა დარღვევა.

ყვითელი წიგნი

ნაუენი, 26 დეკ. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს განზრახული აქვს გამოუშვას „ყვითელი წიგნი". წიგნი შეეხება ლონდონის კონფერენციას, რომელზედაც განხილული იყო დოუსის გეგმა.

სხვა და სხვა ამბები

— **მოკავშირეების ფინანსთა მინისტრების თათბირი.** ამერიკის მთავრობა უარყოფს ცნობებს იმის შესახებ, თითქოს ის პრინციპიალურათ წინააღმდეგია მონაწილეობა მიიღოს მოკავშირეების ფინანსთა მინისტრების თათბირში. ეს თათბირი ახლო ხანში მოწვეული იქნება პარიზში.

— **კომუნისტების გადასახლება.** ლიუქსემბურგის მთავრობამ გადასწყვიტა ლიუქსემბურგის საზღვრებიდან გადაასახლოს ყველა უცხოელი კომუნისტები და ანტიფაშისტები. გამოცემულია დეკრეტი, რომლის თანახმად გადასახლებული უნდა იქნენ საფრანგეთიდან და ბელგიიდან შეხიზნული კომუნისტები.

— **მდგომარეობა მაროკოში.** ესპანეთის დირექტორიამ გადასწყვიტა გააძლიეროს ტეტუანის და ლაროშის გარნიზონი. მადრიდში ელიან პრიმა-დე-რივერას დაბრუნებას მაროკოდან. მას თათბირი ექნება სხვა და სხვა პირებთან ფრონტზე შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

— **სამხრეთ-სლავიის ელჩი ანგორაში.** სამხრეთ სლავიის ელჩათ ანგორაში დაინიშნა ლიუბომირ-ბახტიჩი.

— **ჰაეროკატასტროფა.** ჰაეროპლანი, რომელიც პარიზსა და ლონდონს შორის დაფრინავდა, კროიდონში აფრენის დროს დაეჯახა სახლს, რის გამო ბენზინი აფეთქდა მოკლულია 8 მგზავრი, მფრინავი და მექანიკი.

საბჭოთა სომხეთში

ამიერ-კავკ. ცაკის კომისიის მოგზაურობა

(დეპეშა საკუთარი კორესპონდენტისაგან)

26 დეკემბერს ლენინკანში ჩავიდნენ ა|კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაია და ცაკის წევრები ამხ. ამხ. იაკუბოვი და ხანოიანი. ცაკის კომისიამ დაათვალიერა ქალაქის ალმსკომი და უპატრონო ბავშვთა სახლი.

ამხ. მიხა ცხაკაიამ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა დივიზიის პარტიულ კონფერენციაზე. კომისიამ ინახულა აგრეთვე შირაქის არხი, რომელიც დამთავრებული და ამუშავებული იქნება 1925 წლის 1 მაისისათვის.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ერევანი. 25 დეკემბერი. ამა წლის 16 დეკემბრამდე მთელს სომხეთში შემოვიდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან 1,871,000 მანეთი.

შაუმიანის სახელობის სკოლა.

ერევანი. 25 დეკემბერი. ზანგეზურის აღმასკომის დადგენილებით ხისიანოვის 7 წლიან სკოლას დაერქვა შაუმიანის სახელობის სკოლა.

სრულიად სომხეთის მასწავლებელთა პირველი ყრილობა.

ერევანი. 25 დეკემბერი. დღეს, საღამოს 7 საათზე სახელმწიფო თეატრში მოხდა სრულიად სომხეთის მასწავლებელთა პირველი ყრილობის საზეიმო გახსნა. ყრილობაზე გამოცხადდა 210 დელეგატი, მათ შორის 160 სოფლებიდან. წარმოდგენილი [illegible]

სომხეთის კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი.

ერევანი. 25 დეკემბერი. 5 იანვრისათვის სომხეთის კოოპერატივთა კავშირი იწვევს ბაზრების გამგეების და განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირს. დღის წესრიგშია საკითხი სავაჭრო პოლიტიკის შესახებ. ზედდართულ ხარჯების შემცირების მიზნით სომხეთის კოოპერატივთა კავშირი ამცირებს შტატებს 15 პროც.-ით.

ქოხ-სამკითხველოები.

ერევანი. 25 დეკემბერი. პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველომ დაამტკიცა ქოხ-სამკითხველოების მოწყობის გეგმა შემდეგი პრინციპის მიხედვით: იმ სოფლებში, სადაც ასი ოჯახია, ეწყობა ქოხ-სამკითხველო სკოლებთან; იმ სოფლებში სადაც ას ოჯახზე მეტია, ეწყობა სპეციალური ქოხები თეატრით და 3 ოთახით, აქედან ერთი—ბიბლიოთეკა, მეორე სამკითხველო, მესამე—კუთხეებისათვის.

კოოპერატიული დუქნები.

ერევანი. 25 დეკემბერი. ახალ ბაიაზეთის მაზრაში იხსნება 17 ახალი [illegible] დუქანი სოფლებში.

მსხვილფეხა საქონლის რიცხვის ზრდა.

ერევანი. 25 დეკემბერი. მსხვილფეხა საქონლის რიცხვი ახალ-ბაიაზეთის მაზრაში 1923 წელთან შედარებით გაიზარდა 18.950 სულით.

წერილი კრასნოდარიდან

ქალაქი კრასნოდარი (ყუბანის ოლქი) სხვა და სხვა ეროვნულ უმცირესობით არის აჭრელებული. აქ ნახავთ ყველა ერის წარმომადგენელს; მათ შორის ქართველებსაც, რომელთა რიცხვი შედარებით ძალიან ცოტა არის. დენიკინის ბატონობის დროს ბევრი გახიზნულა ან და სრულიად გადასახლებულა. მით უმეტეს ქართველ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სულ მცირე პროცენტს შეადგენს.

ამ ჟამად, მთელ საბჭოთა კავშირში დიდი ყურადღება ექცევა ყველა ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ ცხოვრებას.

ქალაქ კრასნოდარშიც დაარსებულია „ეროვნულ უმცირესობათა მუშათა კლუბი". (рабочий клуб „Нацмен").

კლუბი აერთიანებს ყველა ეროვნულ უმცირესობათა სექციებს თავთავიანთი კუთხით, ბიბლიოთეკით, სამკითხველოთი, მათ აქვთ ლიტერატურა თავთავიან ენაზე და სხვა.

მაგალითისათვის ავიღოთ სომხური სექცია (რომელიც უფრო მრავალრიცხოვანია სხვა სექციებთან შედარებით); მას აქვს სომხურ ენაზე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა მოზრდილთათვის) პოლიტიკური წრე, სკოლა პირველი და მეორე საფეხურის, დრამატიული წრე და სხვა. სექცია ლიტერატურას ღებულობს საბჭოთა სომხეთიდან უფასოდ, გაზეთებს კი იწერს თვით ადგილობრივი პროფკავშირი.

ქართველი მუშა-მოსამსახურენი თითქოს ასეთ გაერთიანებას ჩამორჩნენ.

აქამდე მათ „ეროვნულ უმცირესობათა" მუშათა კლუბთან თავიანთი სექცია დაარსებული არა ჰქონდათ. თუმცა ზოგიერთ მუშებში იყო სურვილი ასეთის შექმნისა.

სამოსწავლო წლის დაწყების შემდეგ ქართველ სტუდენტთა ინიციატივით, ადგილობრივი პარტორგანიზაციის დახმარებით და თვით მუშების მოწადინებით 14 და 21 დეკემბერს შესდგა პირველი საორგანიზაციო კრებები ქართველ მუშა-მოსამსახურეთა, სადაც გაკეთებულ იქნა მოხსენება „ნაციონალურ უმცირესობათა" შესახებ. კრება ასეთ დასაწყისს დიდის აღფრთოვანებით შეხვდა და ერთხმად დაადგინა: 1) დაარსებულ იქნას ქართული სექცია „ეროვნულ უმცირესობათა" მუშათა კლუბთან; 2) გახსნილ იქნას წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა მოზრდილთათვის, 3) გახსნილ იქნას პირველი საფეხურის სკოლა ბავშვებისათვის; 4) მჭიდრო კავშირი,—ადგილობრივი პარტ ორგანიზაციის დახმარებით, საბჭოთა საქართველოს პოლიტ-განათლების განყოფილებასთან ლიტერატურის მისაღებათ და სხვა.

ყველა ამ დადგენილებების სისრულეში მოსაყვანად არჩეულ იქნა დროებითი საორგანიზაციო ბიურო 5 კაცისაგან შემდგარი.

სხვათა შორის კრებაზე გამოირკვა, რომ თვითმპყრობელობის დროს კრასნოდარში არსებობდა ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სამოქალაქო ომის დროს ბიბლიოთეკა დახურულა. ამიტომ დაევალა დროებით საორგანიზაციო ბიუროს, აღნიშნული სამკითხველოს ყოველივე ქონება გამოძებნოს და საჭირო-გამოსადეგი წიგნები გადმოტანილ იქნას კლუბში.

მაგრამ ამ წიგნებთა შორის ძალიან ცოტა თუ მოიძებნება გამოსადეგი მუშათა კლუბისათვის.

ქართულ სექციას ამ ჟამად აქვს მიკუთვნებული კლუბში ცალკე თავისი კუთხე, მაგიდა და რამოდენიმე სკამი. გარდა ამისა მას არაფერი არ მოეპოვება. სექციას ესაჭიროება ქართული ლიტერატურა, ქართული ჟურნალ-გაზეთები, თუნდაც ცოტაოდენი მანამდის, სანამ თვით სექცია ძალას მოიკრებდეს და თავის წყაროს გამონახავს.

ლიტერატურის შეძენისთანავე სექციას საშუალება ექნება აწიოს მისი კულტურული საქმიანობა მუშებში. რაც შეეხება კულტურულ ძალებს, ასეთი ქართულ სექციას ამ ჟამად საკმაოდ მოეპოება.

დროებითი საორგანიზაციო ბიუროს ქართულ სექციისას იმედი აქვს, რომ ამას გამოეხმაურება საქართველოს პოლიტ-განათლების სამმართველო და თავის წვლილს გადასდებს ქართული ლიტერატურის სახით. ზემო აღნიშნულ სექციის სასარგებლოდ, რაიც მოგვცემს საშუალებას გავაღვიოთ კულტურული მუშაობა ქალ. კრასნოდარის ქართველ მუშა-მოსამსახურეთა შორის.

მინდობილობით ქალაქ კრასნოდარის ქართველი სტუდენტები:

ვალერიანე ციმაკაძე, ჰ. ჯავახიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი.

სოფლის პარტ-უჯრედების გაფართოებული თათბირი

საღამოს მეშვიდე სხდომაზე იმართება კამათი ამხ. კახიანის მოხსენების გარშემო

კამათი

ამხ. მამულაიშვილი. გლეხი საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის შეფასებას იწყებს ჩვენი სოფლის ამხანაგებიდან. რომ ჩვენი პარტიული და განსაკუთრებით მაზრის აპარატი დაშორებულია სოფლის კომუჯრედებზე,—ეს ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებებში აშკარად გამოირკვა. გამოირკვა ისიც, რომ ამდენადვე სოფლის პარტიული ამხანაგების მუშაობაც მოისუსტებდა და რომ ეს მუშაობა ხელს ვერ უწყობდა უპარტიო მასების აქტიურად ჩაბმას საბჭოთა აღმშენებლობაში. მაზრის მუშაობა სოფლად გამოიხატება 10—15 პროცენტში. ამას უნდა მოეღოს ბოლო და 75 პროცენტი ცოცხალი მუშაობისა მაზრამ უნდა გადაიტანოს სოფლად.

მეორე გარემოება, რომელსაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, არის თვით ცენტრის ხელმძღვანელობა. როდესაც მაზრაში მიდის ინსტრუქტორი, ის არ უნდა ემყარებოდეს მარტოოდენ თვით მაზრკომის ინფორმაციებს. ცენტრში მომუშავეთა ამხანაგები რევიზიას უნდა აწარმოებდნენ უშუალოდ სოფლიდან და სათანადო ხელმძღვანელობას უწევდნენ სოფლის კომუჯრედებს.

რაც შეეხება სოფლად საბჭოთა აპარატებს, უნდა ითქვას, რომ ისინი საგრძნობლად მოისუსტებენ და ამის ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთს ამხანაგებს, რომლებიც მუშაობენ ამა თუ იმ დაწესებულებებში, არ აქვთ სათანადო ავტორიტეტი ხალხში და ვერ სდგანან თავიანთ სიმაღლეზე. ავიღოთ სამეურნეო გადასახადი. აქ ბევრი შეცდომები დაუშვით. შეცდომაა არა მარტო ის, რომ აქა-იქ გაწერა ვერ არის სისწორით და შესაფერად ნაწარმოები, არამედ ისიც, რომ საგადასახადო ფურცლებს გლეხს ადგილობრივი ამხანაგები აძლევენ მხოლოდ რამოდენიმე დღით ადრე და ეტყვიან ამ რამოდენიმე დღეში უსათუოდ უნდა შემოიტანოთ გადასახადო. ასეთი გზით წარმართვა ჩვენი აპარატის მუშაობისა შეუძლებელია.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრსა და სოფელს შორის ცოცხალი და მჭიდრო კავშირის არსებობისათვის, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ სოფლის კომუჯრედებში პარტმუშაობის გაძლიერებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს—მაზრის პარტიული აპარატი უფრო დაუახლოვდეს სოფელს და მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას რაიონებში.

ამხ. ვეფხვაძე. ორატორი უმთავრესად ეხება ანტი-რელიგიურ პროპაგანდას და ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ ხარაგოულის თემში ყველა ეკლესიები, რომლებიც იქნა გაუქმებული და კულტურულ დაწესებულებებად გადაკეთებული, ხალხის დატურით და თანხმობით ხდებოდა, მაგრამ ამა თუ იმ ადგილას დაშვებული იყო შეცდომები. ის დღეს დაუყოვნებლივ გამოსწორებული უნდა იქნეს.

გლეხები, რომ აქტიურად ჩაებან საბჭოთა აღმშენებლობაში და ამასთანავე კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი უპარტიო მასსაში გაიზარდოს, საჭიროა ე. წ. „ნებაყოფლობითი" ხაირათის გადასახადებისაგან, რომლებსაც გლეხი იხდის, სრულიად და სავსებით გავანთავისუფლოთ.

ამხ. ვ. დარახველიძის მოხსენება

კომკავშ. მუშაობის ამოცანების შესახებ სოფლად

უპირველესად ყოვლისა უნდა იქნეს აღნიშნული, რომ კომკავშირის მუშაობის ამოცანები ჩვენ, როგორც კომკავშირელებს, ისე უფროს ამხანაგებს, არ გვქონდა სათანადოთ გარკვეული პარტიის მე-13 ყრილობამდე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მე 13 ყრილობამ საბოლოოდ დასახა კომკავშირის ამოცანები და დღესაც, თუმცა ამის შემდეგ კარგი ხანი გავიდა, ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი უჯრედები ჯერ კიდევ არ არიან გაცნობილი, თუ რა უნდა აკეთოს ჩვენმა კომკავშირმა განსაკუთრებით სოფლად.

კომკავშირის მუშაობის გაძლიერებისათვის და მისი ორგანიზაციული პოლიტიკური ზრდისათვის,—აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ჩვენმა პარტიის ქვედა აპარატებმა, სოფლის უჯრედებმა არსებითად შეისწავლონ ჩვენი კომკავშირის მუშაობის მნიშვნელობა სოფლად.

ამ მხრივ კი ბევრი ამხანაგები, პარტიული ორგანიზაციები უშვებდნენ შეცდომას. იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენი ამხანაგები მაზრებიდან ამბობდნენ, რომ კომკავშირის კარები უფრო ფართოდ უნდა გავაღოთ ისე, რომ მასში შედიოდეს მთელი გლეხური ახალგაზრდობა განურჩევლად იმისა კულაკები იქნებიან ისინი, თუ ღარიბი ნაწილი. ეს ერთის მხრივ. მეორეს მხრივ ჩვენს პარტიულ უჯრედებს ხშირად ემჩნეოდა ტენდენცია კომკავშირის კარების ჩაკეტვის. მიიღებდნენ 20 კაცს და ფიქრობდნენ, რომ ამით უკვე ყველაფერი შესრულებულია. ეს ორი უკიდურესი მიმართულება უთუოდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი პარტიის ხაზი, ტაქტიკა იქეთკენ არის მიმართული, რომ ჩვენ უნდა გავზარდოთ სოფლად კომკავშირი და მასში ჩავაბათ გლეხური ახალგაზრდობის ის სოციალური ფენა, რომელიც გაიზიარებს ჩვენს იდეოლოგიას და შეხედულებებს, სახელდობრ კი: მოჯამაგირეები, ღარიბი გლეხობა და წვრილი მესაკუთრეები. ამიტომაც ჩვენ უნდა ვცადოთ რომ ის გლეხი, რომელიც გამოსულია ასეთი სოციალური ფენიდან და ჩვენთან მოდის, მივიღოთ და დავრაზმოთ ჩვენს რიგებში.

ამხ. კახიანმა თავის მოხსენებაში ილაპარაკა გლეხობის პოლიტიკური აქტივობის გაზრდის შესახებ. თუ ჩვენ გადავავლებთ თვალს სოფლის სინამდვილეს, დავინახავთ, რომ უფრო მეტად და სწრაფად იზრდება ახალგაზრდობის აქტივობა. ზოგიერთ მაზრაში 2—3 ათასი ახალგაზრდაც კი არის, და ეს ახალგაზრდობა მეტს აქტივობას იჩენს, ვინემ დავაჟკაცებული თაობა, ის უფრო მარჯვეთ ეკიდება ახალ ცხოვრებას და საბჭოთა სოფლის აშენებას.

რასაკვირველია, ყველა ამით ჩვენ კარებს ვერ გაუღებთ იმიტომ, რომ კომკავშირი და პარტია ერთბაშათ მათ გადახარშვას, გადამუშავებას ვერ მოახერხებს. და სწორედ ის ნაწილი, რომელიც ვერ მოხვდება ჩვენს რიგებში, უნდა ჩავაბათ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომლებსაც, თავისთავად ცხადია, ხელმძღვანელობა უნდა უწევდეს ადგილობრივი კომუჯრედი და კომკავშირი.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ის გარემოებაც, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა ქალების ჩაბმასაც ამ ორგანიზაციებში. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს ცდა. მაგ. გორის მაზრაში კომკავშირის წევრებმა თავიანთი ენერგიული მუშაობით შესძლეს ახალგაზრდა მშრომელი ქალები ჩაებათ ამ მუშაობაში. მაგრამ მომავლისათვის ჩვენ ამ მიმართულებით გვმართებს კიდევ დიდი მუშაობა. სამაზრო კურს-ყრილობები, სოფლის უჯრედების მდივნები, სარაიონო კონფერენციები, სარაიონო თათბირები, კომკავშირის უჯრედები და სხვა—აი ის ძირითადი ფაქტორები, რომლის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გავაღრმაოთ ამ გლეხური ახალგაზრდობის შორის მუშაობა და აქტიურათ ჩავაბათ ისინი გლეხკომების, საბჭოების, აღმასკომების მუშაობაში, რომ ამით [illegible] ცოდნა მივცეთ მათ პოლიტიკური და საზოგადოებრივი მუშაობის.

მართალია აქ ამხანაგები ამბობენ. რომ ხშირად კომკავშირში უფრო მომზადებულნი არიან, ვიდრე კომუჯრედშიო, მაგრამ ჩვენ ვიცით ჩვენი ამხანაგების მდგომარეობა სოფლად და უნდა ვთქვათ, რომ მათ საკმაო მომზადება არა აქვთ. ამიტომ საჭიროა ამხანაგების უფრო აქტიური ნაწილი ჩავაბათ პოლიტიკურ განათლების საქმეში. მხოლოდ ამისათვის კი საჭიროა, რომ კომკავშირის ცეკას, რომელიც აწარმოებს ამ მიმართულებით სისტემატიურ მუშაობას, ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინოს სოფლის უჯრედებში კომკავშირლების კულტურული დონის აწევის საქმეში

მეორე მთავარი საკითხი არის ღარიბი და საშუალო გლეხობის შეკავშირება და მათი დაპირისპირება სოფლის მდიდარ გლეხობასთან. ამ მხრივ კომკავშირი უნდა გახდეს პირველი დამხმარე ჩვენი პარტიისა. როდესაც კომკავშირის ორგანიზაციები სოფლად სისტემატიურად შეუდგებიან კოლექტიურად მიწების დამუშავებას, გაავრცელებენ სოფლად მიწის კულტურულად დამუშავების წესებს და პრაქტიკულად შეეცდებიან დაეხმარონ სოფელს მისი მეურნეობის გაუმჯობესებაში,—მაშინ ჩვენი ავტორიტეტი უფრო მეტად გაიზრდება გლეხობის თვალში და შესაძლებელი გახდება მივაღწიოთ საგრძნობ გამარჯვებებს როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ ფრონტზე სოფლად. აქ პარტიამ უნდა გაუწიოს კომკავშირს ხელმძღვანელობა. კომკავშირმა რომ ქოხ-სამკითხველოების გარშემო დარაზმოს გლეხკაცობა, აწარმოოს ენერგიული ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ, რომლის შესახებ ამხ. ლენინი ამბობდა, რომ ვერავითარი დეკრეტით ვერ გაატარებ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, თუ ამ საქმეს ხელი არ მოჰკიდა ახალგაზრდობამ,—საჭიროა სოფლის უჯრედებმა გაუწიონ უშუალო ხელმძღვანელობა კომკავშირის უჯრედებს.

რაც შეეხება მოჯამაგირეთა შორის მუშაობას, უნდა ითქვას, რომ ჩვენი უჯრედები აქ საქმეს სერიოზულად ეკიდებიან. იქ, სადაც მოჯამაგირეები არ არიან აღრიცხვაზე აყვანილი, დაზღვეული და უფლებრივად არ არიან დაცული, კომკავშირმა ამას უნდა მიაქციოს ყურადღება და გააერთიანოს ისინი მიწა-ტყის კავშირში.

ანტირელიგიური პროპაგანდის საქმეში კი საჭიროა, რომ კომკავშირი გადავიდეს მეცნიერულ საფუძველზე, რელიგიის საკითხების მეცნიერულად გარკვევაზე.

დაბოლოს უნდა ითქვას, რომ კომკავშირის და კომუჯრედის ურთიერთ შორის ერთხელ და საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას ფორმალური დამოკიდებულება. იმისათვის, რომ ჩვენი პარტიის ყველა დადგენილებები ტარდებოდეს ცხოვრებაში და რომ კომკავშირს ჰქონდეს პარტიის სახე, უსათუოდ კომკავშირში მდივნად უნდა იყოს პარტიის წევრი. ამასთანავე ერთად საჭიროა ისიც, რომ პარტიაში გლეხების მიღების დროს გადარიცხულ იქნან პარტიაში კომკავშირის საუკეთესო და აქტიური ელემენტები.

—

ამხ. გურამიშვილი. ამხანაგები აქ ბევრს ლაპარაკობდენ იმის შესახებ, რომ არ არის სასურველათ მოგვარებული არც მიწის, არც გადასახადის, არც განათლების საქმე და სხვა. მართალია ეს ასე არის, მაგრამ აქ უმთავრესი ბრალი მიუძღვის ჩვენს კომისარიატებს. შემდეგ მომხსენებელი ეხება მიწისმზომელების, მოჯამაგირეების, საფინანსო კომისარიატის მუშაობის, პარტიის უჯრედებში ინტრიგანობას და სხვა საკითხება და ამბობს, რომ ყველა ეს საკითხები სათანადოთ უნდა იქნენ გადაჭრილი, რათა სოფლად გავაძლიეროთ და გავაცხოველოთ მუშაობა.

ამხ. დაშნიანი ეხება სარწმუნოების საკითხს და აღნიშნავს, თუ როგორ შედეგებს მივაღწიეთ წარმოებულ ანტირელიგიური პროპაგანდით და სხვა.

ამხ. მირხვაიძე თავის სიტყვაში ხაზს უსვამს მუშა ხელის აღრიცხვის საკითხს, ეხება ქურდ-ბაცაცებს, რომლებიც სოფლად მრავლად არიან და მათ წინააღმდეგ ადმინისტრაციის ენერგიულ ბრძოლას და აღნიშნავს, რომ ამ საზოგადოებისათვის მავნე ელემენტების სახალხო სასამართლოში წარდგენის და მათი საქმის გამოძიების შემდეგ, ისინი რაღაცნაირად განთავისუფლებული ხდებიან, რაც იწვევს დიდ უკმაყოფილებას სოფლის გლეხკაცობის მხრის.

მომხსენებელი ჩერდება აგრეთვე სამაზრო პარტიული ორგანოების რაიონებთან და სოფლის უჯრედებთან ურთიერთობის საკითხზე და მოითხოვს, რომ მომავალში ცენტრალურმა კომიტეტმა მიაქციოს ამას განსაკუთრებული ყურადღება, რათა იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელიც დღეს არის, შემდეგისათვის არ ჰქონდეს ადგილი. და ბოლოს ორატორი ეხება თემების, მთიულების და ქისტების მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ პარტიამ და სახელმწიფომ მათ რიგებში უნდა გააძლიეროს კულტურული და პოლიტიკური მუშაობა.

ამხ. გიორგაძე ეხება თავად-აზნაურობას, უპარტიო გლეხთა შორის მუშაობის გაძლიერების, ეკლესიების, საბჭოების საკითხებს და ბოლოს ამბობს, რომ თუ ჩვენ სამოქალაქო ომის დროს თანამდებობიდან დროებით ვხსნიდით ამა თუ იმ ამხანაგებს და მათ ვგზავნიდით სხვადასხვა ფრონტზე, სადაც ისინი პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ პარტიულ მოვალეობებს, რატომ არ შეიძლება, როდესაც სოფლად მუშაობა დღეს ერთ მთავარ ფრონტს წარმოადგენს, დროებით, ორი-სამი თვით გავგზავნოთ ამხანაგები სოფლად? პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ჩემი შთაბეჭდილება იმ მოხსენებებიდან, რომლებიც აქ გაკეთდა, ისეთია, რომ ჩვენ ამდენხანს უნდა მოგვეწვია ეს თათბირი. ჩვენ მესამე ყრილობა გვქონდა, რამოდენიმეჯერ ცენტრალური კომიტეტის პლენუმიც, მაგრამ იქ ეს სურათი, რომელიც აქ ჩვენს წინაშე გადაიშალა, არ გვქონებია.

მაგრამ ამხანაგები როდესაც გამოვიდნენ და აქ აკეთებდნენ მოხსენებებს, ამას მე კი ხაზი გავუსვი პირველ სიტყვაში, არ უნდა ჰქონოდათ მათ ოფიციალური ხასიათი, არ უნდა ჰქონოდა თავისი მოქმედების ან თავისი უჯრედის გამართლების ხასიათი. სამწუხაროდ კი უნდა აღვნიშნო, რომ უმეტესობა თქვენგანმა მოინდომეს თავის გამართლება თითქოს აქ ჩვენ პასუხისგებაში ვაძლევდით რომელიმე ამხანაგს, ან ვასამართლებდით რომელიმე უჯრედს. რასაკვირველია, ასეთებს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. ჩვენ უნდა გაგვეგოთ მხოლოდ ის, თუ რა ხდება, როგორი არის მდგომარეობა ადგილობრივ, პროვინციაში, მაზრებში. ეს საჭიროა როგორც პროვინციისათვის, ისე ცენტრისათვის.

როდესაც ვეკითხებით ამხანაგებს როგორია განწყობილება თქვენსა და უპარტიოებს შორის, გვიპასუხებენ, კარგია, არა უშავს-რაო და სხვა. ეს საერთო ფრაზებია. თქვენ იმასაც ამბობთ, რომ კარგი განწყობილება არ იყვეს მათთან, ჩვენ ამდენს ვერ გავაკეთებდითო. ეს კარგია ყველაფერი, მაგრამ ეს არ ჰმოწმობს იმას, რომ ჩვენ გვქონდეს დასრულებული და დაბოლოებული სურათი სოფლის შესახებ.

ერთი გარემოება, რომელსაც უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება—ეს არის ეკლესიების საკითხი. მე ვფიქრობდი, რომ ეს საკითხი უნდა ამოწურულიყო, ამაზედ ბევრი გვაქვს დაჭერილი; მაგრამ როგორც სჩანს ეს ჯერ კიდევ გაუგებრობას იწვევს. ჩვენთვის არ არის საჭირო, რომ ერთი მეორე დავარწმუნოთ იმაში, თუ რას ნიშნავს რელიგია და რა მავნებლობა მოჰქონდა მას კაცობრიობისათვის. უნდა ითქვას, რომ წარმოებულ ანტირელიგიურ პროპაგანდას მოყვა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგებიც. ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს შეადგენს ის, რომ ეს უარყოფითი მხარეები ასე თუ ისე შევანელოთ, მოვსპოთ. ჩვენ ვამბობთ, რომ ის შეცდომები, რომლებიც ჩვენ დაუშვით აქ შემდეგისათვის არ განმეორდეს. ნუ დაივიწყებთ იმასაც, თუ რას ამბობდა ამხ. ლენინი იმათ შესახებ, რომლებიც მემარცხენეობდნენ.

ჩვენ სოფლად მუშაობაში ბევრი ამოცანები გვაქვს წინ და მთავარი აქ არის მიდგომა ნაკლი არ გვაქვსო რომ ვსთქვათ, ეს შეცდომა იქნება, ავიღოთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებებიდან გამოაშკარავდა, რომ ჩვენ ამ გადასახადის გაწერაში მონაწილეობას არ ვიღებდით, რა ხდებოდა არ ვიცოდით და ცენტრი არის დამნაშავეო. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს გაწერა ხდება ადგილებზე და როდესაც იქიდან ცენტრს უსწორ-მასწორო ცნობებს აწვდიან, ცხადია გაწერაც უსწორ-მასწორო იქნება. ამას უნდა მიაქციოთ ყურადღება.

აქ ამხანაგები ამბობდნენ, თვითდაბეგვრის შესახებ. ჩვენ არ გვითქვამს ამხანაგებო, რომ ეს თვით დაბეგვრა თავისთავად ბოროტება არის და მას არ მიმართოთ მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ეს თვითდაბეგვრა აქა-იქ არ ხდებოდა სასურველად. რასაკვირველია, კარგია, თუ ჩვენ თავის რაიონში გამოვიჩინეთ ცხოველმყოფელობა და საქმიანობა, გავამაგრეთ წყლის ნაპირები, გავიყვანეთ არხები, ხიდები და სხვა, მაგრამ ყოველივე ეს ისე უნდა ხდებოდეს, რომ ხალხი არ შეწუხდეს.

თავი და თავი ამოცანა სოფლად არის გლეხობის დაპყრობა. რომ სავსებით განვახორციელოთ ეს მიზანი საჭირო არის, რომ გლეხკაცობა შევიყვანოთ სხვადასხვა დაწესებულებებში, დავრაზმოთ ისინი სკოლების, გლეხკომების ირგვლივ და სხვა.

საგრძნობლად მოიკოჭლებს ჩვენი კოოპერაცია. ეს საქმე უნდა მოვაგვაროთ. გლეხობა უნდა ჩავაბათ კოოპერაციაში, თუ საწევრო გადასახადი დიდია, შეგვიძლია დავუკლოთ. მართლაც უნდა აღინიშნოს, რომ 5—6 მანეთი საწევრო გადასახადი იმ გლეხისათვის, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, ძალიან დიდია. მას არ შეუძლია ამის გადახდა. მაშასადამე, უნდა შემცირდეს გადასახადი. გარდა ამისა შეიძლება ისიც, რომ გლეხკომები დაეხმაროს ისეთ გლეხებს, რომელთაც არ შეუძლიათ იმ გადასახადის შეტანა. ამავე დროს კოოპერატივის გამგეობებში უნდა იყვეს პატიოსანი ხალხი, რომ აქ არავითარ ბოროტმოქმედებას არ ჰქონდეს ადგილი. დღეს კი კოოპერაციას გატეხილი აქვს სახელი. თუმცა გლეხს სწამს კოოპერაცია, ის უნდა მას, მაგრამ, როდესაც იქ ბოროტმოქმედება არის პირველი მოთხოვნილების საგნებიც არ მოიპოვება,—გლეხობაც არ მიდის კოოპერატივში. როდესაც კოოპერატივებს დღეს საერთოდ სახელმწიფო დახმარებას უწევს, ისინი რომ არ აყვავდნენ დიდი სისუსტე იქნება ჩვენის მხრივ.

რაც შეეხება საბჭოთა აპარატს, მართალი სთქვა ამხ. გიორგაძემ, რომ საბჭოები ჩვენში მოისუსტებენ ჩვენ უნდა გამოვაცოცხლოთ მუშაობა.

აქ გამოირკვა ისიც, რომ ჩვენი უჯრედები აკეთებენ ყველაფერს. ისინი არამც თუ მარტო ხელმძღვანელობას უწევენ, არამედ იკავებენ საბჭოთა და ადმინისტრატიულ ორგანოების ადგილს.

ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ქართული დრამატიული წრე ახალ. ლენკავშირის მესამე რაიონის კლუბში

ახალგაზრდა ლენინური კომკავშირის მე-3-ე რაიონის კლუბში სხვადასხვა წრეებთან ერთად არსებობს ქართული დრამატიული წრე, რომელიც დაარსდა 1923 წელს. უნდა ითქვას, რომ ამ წრეში გაერთიანებული ამხანაგები დიდ ენერგიულ და დაუღალავ მუშაობას აწარმოებდნენ და თავიანთ მოვალეობას პირნათლადაც ასრულებდნენ.

1924 წ. ენკენისთვეში მოხდა დრამატიული წრის ბიუროს ხელახალი გადარჩევა და ამ უკანასკნელ დროს მას ემჩნევა ნაკლები ცხოველმყოფელობა და ინიციატივა. ბიუროს წევრები სისტემატიურად არ ესწრებოდენ თავიანთ კრებებს, ხშირად აკრავდენ განცხადებებს იმის შესახებ თუ როდის უნდა შემდგარიყო წრის მეცადინეობა, ხოლო თვითონ კი ამ დანიშნულ დღეს არ მოდიოდნენ და სხვა მრავალი.

ა. | წ. 7 დეკემბერს მუშაობის გაცხოველების მიზნისათვის მოწვეული იქნა წრის საერთო კრება, სადაც გაკეთებულ იქნა მოხსენება ბიუროს მუშაობის შესახებ. მოხსენების გამო კრებამ ერთხმად გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუცია, რომელშიაც ხაზგასმით იქნა აღნიშნული ბიუროს მუშაობის სისუსტე. დაბოლოს არჩეულ იქნა ბიურო ახალი შემადგენლობით.

პარტკორი ი. ჯ.

ა. წ. 27 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს პროფკავშირთა სახლის დიდ დარბაზში იხსნება

მელითონეთა კავშირის სრულიად საქართველოს მე-5 ყრილობა

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
2. ცენტრალური გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. საორგანიზაციო საკითხები.
4. სატარიფო-ეკონომიური საკითხები.
5. კულტურულ-განმანათლებელი საკითხები.
6. სამეურნეო ორგანოების—ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილების და არსენალის ანგარიში.
7. მოხსენება ფეროშავიქვის მრეწველობის მოწყობის შესახებ საქართველოში.
8. მუშათა კოოპერაციის შესახებ.
9. ცენტრალური გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
10. მიმდინარე საკითხები.

3191 1—1

სამდივნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის სავაჭრო ორგანოებში მომუშავე კომუნისტების

თათბირის გაგრძელება მოხდება

დღეს, 27 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე სასახლის წითელ დარბაზში

რ. კ. პ. ა|კ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი და ა|კ. და საქ. მუშ. და გლეხ. ინსპექ. სახ. კომისარიატები.

ეკონომიური ცხოვრება

საქ. სახალხო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა

საქონლის შეძენა

საქართველოს სახალხო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ, მოსკოვის განყოფილებისაგან შეიძინა დიდძალი სხვადასხვა საქონელი, რომლის ნაწილი უკვე მიღებულია.

ამხანაგობის განყოფილება დონის-როსტოვში

ამხანაგობამ თავისი ოპერაციების გაფართოების მიზნით დონის-როსტოვში გახსნა თავისი განყოფილება ამხანაგობის დონის-როსტოვის განყოფილება ამ ჟამად აწარმოებს მუშაობას საქართველოს ღვინოების სარდაფის მოსაწყობათ.

ღვინოების დაწურვა

ამხანაგობის ქუთაისის განყოფილებამ ქუთაისის აღმასკომისაგან იჯარით აღებულ ყოფილ ოლდენბურგის სარდაფში შემოდგომაზე დაწურა 30 ათას ვედრამდე უმაღლესი ხარისხის ღვინო, რომელიც ამხანაგობას განზრახული აქვს სარეალიზაციოთ გაგზავნოს მოსკოვში.

ღვინის და არყის დამზადება

ამხანაგობის გამგეობამ დაადგინა საკულტურო განმანათლებელ მიზნით აძლიოს იმ რაიონების აღმასკომებს, სადაც ამხანაგობა აწარმოებს დამზადებას, დამზადებულ ვედრო ღვინოზე ხუთი კაპეიკი, ხოლო დამზადებულ ვედრო არაყზე ათი კაპეიკი წელიწადში, დაახლოვებით ეს კაპეიკები შეადგენენ ოცი ათასი მანეთზე მეტს. აღნიშნული დადგენილება ვრცელდება დღემდე დამზადებულ ღვინოებზეც.

რკინეულობის სავაჭრო

ამხანაგობა ამ დღეებში გახსნის სადგურის ქუჩაზე მეთორმეტე მაღაზია, რომელშიაც აწარმოებს განსაკუთრებით რკინეულობით ვაჭრობას.

ღვინის ჩამოსასხმელი განყოფილება

ამხანაგობის მიერ წარმოებულ ღვინის ოპერაციების გასაძლიერებლად, მიღებული არის ზომები თბილისში არსებულ ღვინის სარდაფის გასაფართოებლათ, რომელშიაც მოწყობილი იქნება ღვინის ჩამოსასხმელი განყოფილება.

ხელშეკრულება „საეროსთან"

ამხანაგობამ ხელშეკრულება დასდო მეღვინეობის საზოგადოება—„საეროსთან" ხუთი ათასი ვედრო ღვინის შეძენის შესახებ.

განათლების ფრონტზე

ახალი სკოლები გორში

1924—25 წ. გორის განათლების განყოფილებამ მაზრაში გახსნა 5 ახალი სკოლა. ამჟამად მთელ მაზრაში არსებობს ყველა ტიპის—144 სკოლა.

ახალი სკოლები სიღნაღში

24—25 სასწავლო წელში სიღნაღის მაზრაში გაიხსნა სულ 31 ახალი სკოლა.

მუსიკალური სასწავლებელი სიღნაღში

სიღნაღის განათლების განყოფილების მიერ გაიხსნა სიღნაღში მუსიკალური სასწავლებელი, მეცადინეობა დაიწყება ახლო ხანში.

სოფლის მასწავლებელთა ხელფასის მოგვარება

განათ. კომისარიატის მიერ შედგენილ კომისიამ ამხ. ე. მამულაიშვილის თავმჯდომარეობით ჩამოიარა სიღნაღის, თელავის, დუშეთის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის და ქუთაისის მაზრები და ფოთის რაიონი, მასწავლებლების ხელფასის საკითხის მდგომარეობა და ზოგიერთ სასწავლო დაწესებულებების სახელმწიფო ხარჯზე გადაყვანა ამდენი ხანი მოუწესრიგებელი იყო. ყველა ის ნაკლები კომისიამ მოაწესრიგა სათანადოთ.

წითელ ჯვარში

დახმარება სამტრედიის გლეხობას

ვინაიდან წითელი ჯვრის საზოგადოების წესდებაში შედის დახმარება სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულთათვის, სამტრედიაში გაიგზავნა სპეციალური რწმუნებული ცეცხლისაგან დაზარალებულ გლეხობისათვის საჭირო დახმარების გამოსარკვევად.

საექიმო პუნქტის და აფთიაქის მაღაზიის გახსნისათვის

წითელი ჯვრის ოზურგეთის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის წინაშე, რათა გახსნილი იქნას ნაგომარში საექიმო პუნქტი და ლანჩხუთში აფთიაქის მაღაზია.

სამალარიო დისპანსერები

წ.-ჯ. საზოგადოების პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ფოთში სამალარიო დისპანსერების და აფთიაქის გახსნის შესახებ.

უფასო ამბულატორია ბათუმში

აჭარისტანის წითელი მთვარის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ბათუმში უფასო ამბულატორიის გახსნის შესახებ.

გორის საავადმყოფო

წითელი ჯვრის გორის ახლად გახსნილ საავადმყოფოში ამჟამად იმყოფება 28 ავადმყოფი.

დახმარება უმუშევართ

საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი აცნობებს კავშირის უმუშევარ წევრებს, რომ საკავშირო დახმარების გაცემა მოხდება შრომის ბირჟასთან არსებულ საბჭოთა მუშაკების სექციის მიერ ყოველი თვის 15-ში.

დახმარების მიღების უფლება ექნებათ იმ უმუშევრებს, რომლებიც გაივლიან კომისიაში და მოჰყვებიან საერთო ნუსხაში.

ის უმუშევარნი, რომლებსაც კომისიაში არ გაუვლიათ, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ შრომის ბირჟასთან არსებულ საბჭოთა მუშაკების სექციაში დღეს, შაბათს, 27 დეკემბერს, საღამოს ექვს საათზე.

კომისიაში გაუვლელმა უმუშევრებმა წინდაწინვე უნდა მიიღონ შრომის ბირჟასთან არსებულ საბჭოთა მუშაკების სექციიდან ანკეტები და შეავსონ ისინი.

ყოველგვარ მუშაობაზე გზავნას აწარმოებს შრომის ბირჟასთან არსებული საბჭოთა მუშაკების სექცია, რომელსაც უნდა მიაკითხონ მთხოვნელებმა.

მეცნიერება და ტეხნიკა

რუსეთის მეცნიერების მიღწევები

სისხლის გამოკვლევით ნამდვილი მამის აღმოჩენა.

ექსპერიმენტალური ბიოლოგიის რუსეთის სახელმწიფო ინსტიტუტში პროფ. ნ. კ. კოლცოვის მეთაურობით დაიწყო მუშაობა, რომლის მიზანია მამისა და შვილის სისხლის გამოკვლევით გამორკვევა იმის, თუ ვინ არის ბავშვის ნამდვილი მამა.

გარდა მეცნიერულისა, ამ მუშაობას აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან საშუალებას აძლევს სასამართლოს ორგანოებს, საეჭვო შემთხვევებში, აღმოაჩინონ ნამდვილი მამა.

თვალების გადანერგვა

იმავე ინსტიტუტში სწარმოებს თვალის გადანერგვის ცდები. ეს მუშაობა დაიწყო ვენის ექსპერიმენტალური ბიოლოგიის ინსტიტუტთან ერთად. პროფ. კოლცოვის ასისტენტი ექიმი ტრაპენტოვა გაემგზავრა ვენაში ვენის ინსტიტუტში მოსკოველ მეცნიერების ცდების შესახებ მოხსენების გასაკეთებლად. ცხოველებისათვის თვალის გადანერგვის ცდების უმრავლესობა წარმატებით დამთავრდა. გადანერგული თვალით ცხოველი ისევე ხედავდა, როგორც საკუთარით.

გაახალგაზრდავების ცდები

3 [illegible] ექსპერიმენტალური ბიოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტში ჩამოიყვანეს გასაახალგაზრდავებლად მაიმუნების ახალი პარტია. სულ სოხუმში მოახდინეს გაახალგაზრდავების 14 ცდა. მხოლოდ ერთმა ცდამ არ გამოიღო შესაფერი შედეგი და ისიც იმიტომ, რომ გაახალგაზრდავების ობიექტი ავადმყოფი აღმოჩნდა.

განზრახულია გაახალგაზრდავება ეცადონ ოცი ახალი ცდის მოხდენა. გაახალგაზრდავების ოპერაციებს ახდენენ ქირურგიულ კლინიკებში. ინსტიტუტში აწარმოებენ მოსამზადებელ მუშაობას და თვალყურს ადევნებენ, თუ რა ცვლილებები ხდება გაახალგაზრდავების შემდეგ.

გაახალგაზრდავებას აწარმოებენ პროფ. ვორონოვის სისტემით, ე. ი. ადამიანისათვის მაიმუნის სათესლე ჯირკვლების გადანერგვით. პროფ. შტეინახის სისტემა უარყოფილია.

ახალი საშუალება ფილტვების ანთების წინააღმდეგ.

ამერიკელმა ექიმებმა ფოისემა და გოპ აღმოაჩინეს ახალი საშუალება ფილტვების ანთების წინააღმდეგ. ახალი წამალი მოადგენს ერთ პროცენტიან ხსნილს განსაკუთრებული ნივთიერებისას, რომელსაც შეუშხაპუნებენ ვენებში. ეწოდება მას „მერკიუროხრომი" და შესდგება უმთავრესად ორი ნივთიერებისაგან: ვერცხლის წყლისა და ხრომისგან, რომლებიც ქიმიურათ არიან შეერთებული. აქ ახალი საშუალების მოქმედება მდგომარეობს იმაში, რომ მათი საშუალებით ფილტვები გამოყოფენ სითხეს, რომლებიც ხელს უშლის ანთების მიკრობების გავრცელებას.

აღნიშნულ ექიმების 17 ცდამ დადებითი შედეგი გამოიღო. 7 შემთხვევაში საჭირო ყოფილა „მერკიუროხრომის" მხოლოდ ერთხელ შეშხაპუნება, სამი—ორჯერ შეშხაპუნება, 7-კი სამჯერ შეშხაპუნება. ექიმები აღნიშნავენ, რომ „მერკიუროხრომის" შეშხაპუნებიდან უკვე რამოდენიმე საათის შემდეგ ავადმყოფები უკეთ გრძნობენ თავს.

მუშათა ცხოვრება

განა ეს დასაშვებია?

(ქიმიკოსთა კავშირის და ცეკავშირის საყურადღებოდ).

ცეკავშირის განკარგულებაში იმყოფება ქერამიკული ქარხანა, სადაც მზადდება სხვა და სხვა საოჯახო თიხის ჭურჭელი და ელექტრონის არმატურა.

ეს წარმოება არაფრით არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთულ ფაიფურის არმატურას.

მაგრამ რათ გინდა?..

არავითარი ყურადღება არ ექცევა მას არც ერთ ორგანოს მიერ და თვით ცეკავშირიც, რომელიც პირდაპირი პატრონია მისი, გულცივობას იჩენს.

განა დასაშვებია ასეთი მოვლენა?

თიხის ჭურჭლეულს კერძო პირები ავრცელებენ ხალხში იმ დროს, როდესაც ეს შეუძლია გააკეთოს ცეკავშირმა თავის „ეპო“-ების საშუალებით.

მუშების მდგომარეობაც აუტანელია. სრულიად არ შეეფერება ისეთი მდგომარეობა ჩვენ ხანას, როგორშიაც მათ უხდებათ შრომა: მათთვის თავის დროზე არ არის არც ჯამაგირი და არც სხვა რამ, რაც მუშებს ეძლევათ. კულტმუშაობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ამაზე ლაპარაკი მათში მწარე ირონიას იწვევს მხოლოდ.

მუშკორი ტონკა.

კულტმუშაობა მთავარ სახელოსნოში.

კულტურული მუშაობა მთ. სახელოსნოს მუშებში წარმატებით მიმდინარეობს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოხუცებულებს, წერა-კითხვის უცოდინარობა თითქმის მოსპობილია მათში. ზოგიერთი ამხანაგები სასწავლებლად გაგზავნილი არიან მუშფაკებში და უმაღლესი ტიპის სკოლებში. ხოლო იმ მუშებისათვის, ვინც თავის ადგილებზე დარჩნენ მოწყობილია წრეები: სასიმღერო გუნდი როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე, არის სიმებიანი და სასულე ორკესტრები, პროფმოძრაობის წრე, დრამატიული წრე, თვითმოღვაწე და საზოგადო განმანათლებელი. გულის ტკივილით უნდა აღინიშნოს ის, რომ სასულე ორკესტრი ერთობ შესამჩნევად „მოიკოჭლებს“. იარაღები ცოტაა, საჭიროა შეკეთება ინსტრუმენტებისა, და საშუალება კი არ არის. „უჩკ“-ზე დამყარებული იმედები ამ შემთხვევაში სუსტია.

ადგილობრივ გაზეთებს იწერენ ნახევარზე მეტი მუშები. ყველა სახელოსნოებზე კვირაში 16 სათეატრო ბილეთი იძლევა, ეს არ კმარა ამოდენა მუშებისათვის. ადგილობრივი კულტკომისია წარმატებით აწარმოებს კულტურულ-შემოქმედებით მუშაობას მუშებში. მან გამოუშვა ორი ნომერი კედლის გაზეთისა. კულტკომისია სათანადო მზრუნველობასაც უწევს აგრეთვე თავის საშეფო სოფელ კასპს, რომელსაც გამოუწერა გაზეთები ქართულ ენაზე.

მუშკორი კან-თანი.

ქარხ. „თემქის“ მუშათა კლუბში.

ამჟამად ამ კლუბში მუშაობს 2 დრამწრე რუსული და ქართული. შარშან მხოლოდ და მხოლოდ ქართული წრე მუშაობდა და ყოველ კვირაში ერთხელ იდგმებოდა წარმოდგენები მუშებისათვის უფასოდ. ამ წლის ზამთრის პერიოდში რუსულმა დრამ-წრემ დიდი ნაბიჯები გადადგა. თვენახევრის განმავლობაში მათ მიერ იქნა წარმოდგენილი 12 პიესა. ქართულმა წრემ ამ უკანასკნელ დღეებში მოკიდა მუშაობას ხელი. შედგა კარგი კადრი სცენის მოყვარეებისა ადგილობრივად მომუშავე მუშებისაგან და 20 დეკემბერს იქნა წარმოდგენილი გედევანიშვილის პიესა „მახვეწარი“ და „მონადირე“. უნდა ითქვას, რომ პიესამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. თუმცა სცენა ხელს არ გვიწყობდა სიპატარავისა გამო, მაგრამ დეკორაცია კარგი დაგვიხატა ადგილობრივმა მუშამ [illegible], რომელიც არის ღირსი მადლობისა. ის თავის ძალ-ღონეს არ ზოგავს ამ კლუბისთვის.

პიესა კარგად დადგმული იქნა. მოთამაშენი კარგად თამაშობდნენ.

მუშკორი მეუნარგია.

რაშია საქმე?

(მილიციის უფრ-ხის საყურადღებოდ).

11 დეკემბერს, საღამოს 11 საათი იქნებოდა, როცა მთავარ სახელოსნოების ორი მუშა — ნიკოლოზ და ესტატე გეჯაძეები მიდიოდნენ სახლში. დიდუბის მოედანზე უცბად რამდენიმე უცნობი წამოეწია მათ და დაუწყეს ძარცვა. მუშების ყვირილზე გამოჩნდნენ მილიციელები, რომლების დანახვაზედაც მძარცველებმა გაიტაცეს მუშების ქუდები, ღირებული 40 მ. და მიიმალნენ. მილიციელებმა წაიყვანეს ხსენებული მუშები მე-12 კომისარიატში და შეაქენეს ოქმი, რის ძალითაც დილამდის დააკავეს ისინი, დილით კი ხუთ-ხუთი მანეთიანი ჯარიმით გაუმასპინძლდენ წესრიგის დარღვევისათვის.

ამ გვარად მუშებს სცემეს; ქუდებიც წაართვეს და შემდეგ ხუთ-ხუთი მანეთით დააჯარიმეს.

რაშია საქმე?

ინფორ. კოლია ბ—შვილი.

გამოგზავნილი წერილებიდან.

ხელს გვიწყობენ.

ჩერქეზიშვილის ქუჩიდან ხუდადოვის ქუჩაზე გადმოტანილი იქნა წიგნის მაღაზია „ზაკკნიგა“, რაც დიდ შეღავათს აძლევს მახლობელ სკოლის მოწაფეებს. დიდი მადლობის ღირსი არის საგანმანათლებლო კომისია.

ნ. კახი.

რკინის გზის კოოპერაციის საყურადღებოდ.

არის ლაპარაკი—მუშებს კოოპერატივში კრედიტი გაუხსნათ, მაგრამ ეს იქნება დამღუპველი გზა კოოპერაციისათვის თუ კი მუშები დროზე ვერ გადაიხდიან ვალს, რადგან მას ჯერ-ჯერობით საკმარისი თანხა არ აქვს.

უკეთესი იქნებოდა შემოიღონ რაიმე ნიშნები კოოპერატივების, მაგ.—მარკები. ამ მარკებს მუშა-მოსამსახურენი ჯამაგირის მიღების დროს იძენენ (ჯამაგირის მიხედვით) და მათი საშუალებით იძენენ კოოპერატიულ დუქნებიდან საჭიროების დაგვარად საჭირო სურსათ-სანოვაგეს. ასე დაყენებული საქმე გააძლიერებს კოოპერატივის თანხას და შესაძლებელს ყოფს საქონლის ნისიად გაცემასაც.

ინფ. ლ—რაძე.

შეაკეთეთ მუშათა სახლი

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

მაიარის შესახვევში მდებარეობს საბჭოთა სახლი № 4, რომელიც საჭიროებს შეკეთებას; სახურავი მეტად უვარგისი აქვს. წვიმების დროს შესაძლებელია ჩამოინგრეს, არ აქვს საჭიროების ადგილი და სხვა. შიგ ამ სახლში არის ორი დანგრეული ოთახი, რომლის მასალითაც შესაძლებელია სახლის შეკეთება. მიაქციეთ ყურადღება.

ინფ. დ. ხე—ძე.

საჭიროა საქმის მოწესრიგება.

(რკინ. გზ. მთავარ სახელოსნ. ადგილკომის საყურადღებოდ).

რკინ. გზის მთავარ სახელოსნოების წინ არის „ზაკტპის“ დუქანი № 5, საიდანაც მუშები ყიდულობენ მუშაობის დროს პაპიროსებს, პურს და სხვა და სხვა სანოვაგეს. აქ მუდმივ არის რიგის გრძელი კუდი, რის გამოც მუშას ხშირად დიდი ხნით უხდება აქ მოცდა და სამუშაოზე აგვიანდება რაღაც სრულიად უმნიშვნელო სანოვაგის მიღებისათვის. ასე ყოველ დღე თითო საათის დაკარგვა კი დიდს უარყოფით გავლენას იქონიებს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

კარგი იქნება, რომ ადგილკომმა გამონახოს რაიმე საშუალება ამის გამოსასწორებლად.

მუშა-სიმონელი.

ალაგმეთ თავგასული ვაჟბატონები!

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ).

სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოქ. ევგენი გაბუნია ვალდებული იყო ჩაებარებია მეორე დამდგმელ კოლეგის წევრისთვის გიორგი ჩაჩიბაიასთვის ერთი ოთახი თავის ავეჯეულობა-მოწყობილობით, რაც შეადგენდა უკანასკნელის საკუთრებას. როდესაც მოქ. გაბუნიამ მიიღო სასამართლოს აღმასრულებლიდან უწყება განაჩენის შესრულებაზე, მან ისე მოაწყო საქმე, რომ ჩაჩიბაიას არც ბინა ერგო და არც ავეჯეულობა. გაბუნია შეუამხანაგდა მეორე მდგმურს ამავე ბინაზე მოქ. კოვალევსკის და ორივემ, ჩუმად ჩაჩიბაიას შინ არ ყოფნის დროს, სრულიად გაიტაცეს ოთახიდან მთელი ავეჯეულობა, მოსპრეს ოთახში ელექტრონის აპარატი, ნაწილი ავეჯეულობისა წაიღო გაბუნიამ და ნაწილი კოვალევსკიმ გადაიტანა თავის ოთახში და მიიღო რა კლიტე გაბუნიასაგან ჩაჩიბაიას გარდასაცემი ოთახის, ჩაჩიბაიას დაუკითხავად და ქურდულად შედიოდა ღამ-ღამე ამ ოთახში — ვითომ დასაძინებლად. ერთ დროს, როდესაც სასამ. აღმასრულებელი მივიდა ბინაზე კოვალევსკიმ მას განუცხადა, რომ ოთახი მას აქვს დაკავებული. აღმასრულებელი მაინც არ დასჯერდა ამნაირი განცხადებით და მასაც ჩააბარა უწყება, რომ დაეცალა ოთახი ჩაჩიბაიასთვის 3 დღის განმავლობაში. იმ დღესვე მოქ. კოვალევსკი შეუვარდა ჩაჩიბაიას ოთახში და დაემუქრა მას: თუ შენ ამ ოთახზე ხელი არ აიღია მე შენ დაგალპობ „ჩეკის სარდაფებშიო“ და სხ.

დრო ბოლოს მოეღოს ამგვარ თავგასულობას.

სიმართლის დამცველი.

იურიდიული დახმარება

(ამხ. მუშებს).

შეკითხვა:

ანდრეევის ქ. № 121-ში მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 48 კვ. არშინი. ვცხოვრობ ჩემი მეუღლით. ვმუშაობ საბჭოთა პირველ სპილენძის სატკეც ქარხანაში და მეძლევა ჯამაგირი მე-8-ე ხ.რისხით 37 მ. და 20 კაპ. ვირიცხები პროფკავშირის წევრად 1917 წლიდან და დაზღვეულიც ვარ. ამ სახლის პატრონი ბინის ქირად თვიურად მთხოვს ათ მანეთს. გთხოვთ მიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე:

1) ვალდებული ვარ თუ არა— მივცე სახლის პატრონს ათი მანეთი ბინის ქირად;

2) როგორ უნდა მოვიქცე, რომ არ იღებს ათ მანეთზე ნაკლებს;

3) რამდენი ეკუთვნის მას საერთოდ.

მუშა ხვიჩო ახობაძე.

პასუხი:

თითოეულ კვადრატიულ არშინზე თქვენ იხდით ერთ კაპიკს, სულ მთელ ბინისას 48 კაპიკს პირველ იანვრამდის. თუ სახლის პატრონი აქ კანონიერ ქირას თქვენგან არ მიიღებს დაისწრით მოწმეები და ფული შეიტანეთ ხაზინაში იუსტიციის კომისარის დეპოზიტში და ბინის ქირა გადახდილათ ჩაგეთვლებათ.

შეკითხვა:

გთხოვთ განმარტებას გაზეთის საშუალებით შემდეგ კითხვაზე: მე ვმსახურობ დამტვირთ-გადმომტვირთველ „არტელში“ და ვცხოვრობ ხუთი სულით ხოჯორაშვილის სახლში ჩერქეზოვის მეორე შესახვევში № 58. მიჭირავს ერთი ოთახი 30 კვადრ. არშინიანი თვიურად ვიხდი 35 მან. 7 წელია. რაც ვცხოვრობ ამ ოთახში და ქირას ვიხდიდი თავის დროზე. ეხლა სახლის პატრონი მთხოვს 5 მანეთს თვეში, რისი გადახდაც მე არ შემიძლია. გთხოვთ მაცნობოთ, რამდენი მეკუთვნის გადასახადი და სად უნდა შევიტანო.

მუშა იპოლიტე გიორგისძე ფერაძე.

პასუხი:

თითოეულ კვადრატიულ არშინზე თქვენ იხდით 0,5 კაპიკს, სულ მთელ ბინისას კი—სამ შაურს. თუ სახლის პატრონი მას არ მიიღებს, ფული შეიტანეთ ხაზინაში იუსტიციის კომისარის დეპოზიტში.

შეკითხვა:

პლეხანოვის პრ. სახლი № 53-ში ვცხოვრობთ ოთხი სტუდენტი და გვიჭირავს ერთი ოთახი 16 კვ. არშ. ჩვენს მეზობლად ცხოვრობს მოქ. [illegible]-ამილახვარი (ცოლით) და უჭირავს ორი ოთახი დაახლოვებით ასი კვადრატ. არშ. [illegible]-ამილახვარი ცხოვრობს [illegible] და თავის ოთახებს კი ესტუმრება ორ თვეში ერთხელ და დანარჩენ დროს ოთახები დაკეტილია. გვაინტერესებს რამდენი გვეკუთვნის ოთახის ქირა, შევეხებით თუ არა ნორმაზე მეტ საცხოვრებელ ბინაზე მეზობელს.

ხელს აწერს ოთხი კაცი.

პასუხი:

ბინის ქირად პირველ იანვრამდის თქვენ იხდით თვიურად 7 კაპიკს. აღმასკომის საშუალებით შეგიძლიათ მეზობელი შეამჭიდროვოთ კანონიერ ფარგლებში ისე, რომ მათ თითოეულ სულს მოსდიოდეს არა უმეტეს 25 კვადრატიული არშინისა.

წერილები პროვინციიდან

ს. ერთაწმინდის შეფო, გაიღვიძე!

(გორის მაზრა)

ს. ერთაწმინდაში იქნება დაახლოვებით 200 კომლი მცხოვრები. არსებობს აქ პირველ დაწყებითი სკოლა. დაარსებულია აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, სადაც სწავლობს 40 დედაკაცი და 45 მამაკაცი.

აქ 1913 წლიდან არსებობს სამკითხველო, რომელიც ძლიერ ღარიბია წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით.

ამ სოფელში არ არსებობს კოოპერატივი. ადგილობრივ გლეხკომს განზრახვა აქვს გახსნას სავაჭრო. სამაზრო გლეხკომს აღუთქვამს მისთვის დახმარების აღმოჩენა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ მიტინგის ჩატარების შემდეგ გლეხებმა უამბეს ორატორს, რომ სოფელს ჰყავდა შეფი, რომელსაც დიდი დახმარების აღმოჩენა აღუთქვამს გლეხობისათვის, მაგრამ მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ყოფილა საშეფო სოფელში, რის გამო გლეხობა ძლიერ გულნაწყენია.

გაიღვიძე ს. ერთაწმინდის შეფო, ნუ დაივიწყებ მუშების და გლეხების კავშირს! და ნუ დატოვებ იმ სოფელს უყურადღებოთ.

ქ. კალანდაძე.

წყალსადენის გაყვანა სუფსაში

თვეზე მეტია რაც რკინის გზის მმართველობამ დაჰკეტა ფონტანი და ქალაქი სრულიად უწყლოდ დარჩა. ამან დიდათ შეაწუხა ადგილობრივი მცხოვრებნი, რადგან ფონტანს აქ დიდი მნიშვნელობა ეძლევა აქაური ჭების უვარგისობის გამო. გაუწია რა ანგარიში ხალხის ასეთ მოთხოვნილებას რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ალ. კოტრიკაძე გაემგზავრა ამ საქმის გამო თბილისში, სადაც მას აღუთქვეს დახმარება წყალსადენის გაყვანის საქმეში და აგრეთვე განათების მოწყობაშიაც. მილების თითქმის საკმაო რაოდენობა წყალსადენისათვის უკვე შეძენილია და მოტანილი საჭირო ადგილას. თუ სუფსის მოქალაქენი გამოიჩენენ ინტერესს საქმისადმი, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ რომ სულ მოკლე ხანში სუფსაში იქნება როგორც წყალსადენი, ისე განათება.

ოქტომბრიშვილი.

აღმშენებლობითი მუშაობა ზემო-სვანეთში

გლეხობა ზემო-სვანეთში თვითონ იწყებს მთავრობის დახმარებით თავისი ცხოვრების გაუმჯობესებას, რის საუკეთესო გამოხატულებაა კოოპერაციის ზრდა. ხუთ თემში ჩატარდა კოოპერატიული კამპანია, მცხოვრებთა 90 პროც. ეწერება კოოპერატივის წევრათ, ხშირი არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მსურველების ჩაწერა მრავალ რიცხოვანობის გამო ვერ ესწრება.

ალმასკომმა ჯანმრთელობის საქმის მოსაწყობათ მიიღო სათანადო ზომები, გადასდვა თანხა წამლების შესაძენად, საექიმო პერსონალის გასადიდებლად და აბანოების აშენებლად, უკანასკნელს კი დიდი მნიშვნელობა აქვს სვანებისათვის, ვინაიდან სამკურნალო მჟავე წყლები მოწყობილ აბანოებით წარმოადგენენ საუკეთესო წამალს მრავალ ადგილობრივ ავადმყოფობისათვის. აბანოების აშენება დამთავრდება 1925 წლის შემოდგომაზე.

მაზრის ცენტრში დაწყებულია ყველა დაწესებულებისათვის ერთი დიდი ქვითკირის შენობის აგება და სახეირო ბაღის (ბულვარის) გაკეთება. ხოლო ამ დღეებში მოთავდა ლენინის კლუბის მოწყობა. იგი ბევრად არ ჩამორჩება თავის კეთილმოწყობილობით და სილამაზით ზოგიერთ ქალაქების კლუბებსაც.

ზემო-სვანეთის დანგრეული სკოლების შენობები შეკეთებულია ყველა, დიდძალი ახალგაზრდობა ეტანება სწავლას, ამ მხრივ ასეთ მასიურ სურვილს სწავლისათვის არ ჰქონია ადგილი სვანეთში არას დროს, რაც შეეხება წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციას, ეს სვანეთში ახალი საქმეა და ეს საქმე დავალებული აქვთ მასწავლებლებს, პოლიტგანათლების და ქალთა განყოფილებების ხელმძღვანელობით. ჯერ-ჯერობით შვიდასი წერა-კითხვის უცოდინარი მეცადინეობს.

სვანეთში უმეტესი ნაწილი მიწისა შეიძლება გამოვიყენოთ ხილის ბაღებისათვის და ბოსტნისათვის. ფრიად მნიშვნელოვანია სელის კულტურის შემოღება. ამ საქმეს შეუძლია სვანებისათვის ყველაზე მეტი სარგებლობის მოტანა, ვინაიდან ამით სვანს მისთვის საჭირო ტანისამოსის ადგილობრივათ გაკეთების საშუალება ეძლევა..

ქეთი.

მატყუარა ექიმბაშები უნდა განიდევნონ სოფლიდან

სოფ. ბურნათლი (ოზურგეთის მაზ.)

კოხნარის თემში, სოფ. ბურნათლში სერგო მარკოზის ძე ძნელაძეს პატარა ვაჟი ვაშლის კრეფის დროს ხიდან გადმოვარდა ა/წ. სექტემბერში, რის გამო მარჯვენა ხელი მოიტეხა. მოიყარეს თავი მეზობლებმა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩოხატაური 8 ვერსით არის დაშორებული ამ სოფლიდან (ჩოხატაურში არსებობს საექიმო პუნქტი), მიაშურეს ვინმე გოგუაძეს, ეს ვითომდა დიდი სპეციალისტი ექიმი იყო. ხსენებულმა გოგუაძემ [illegible] ბავშვის ხელის მორჩენა უნაკლოდ, ადვა მოტეხილ მკლავზე ძმარში მოხარშული ბალახები, რის გამო ბავშვს მარჯვენა ხელი დაულპა. ბავშვი წვალობდა 1 თვეს, შემთხვევით მოვხვდი სოფელში სტუმრად და იმავე დღეს ჩემის დაჟინებით ბავშვი წაიყვანეს ჩოხატაურში, ორი კვირის განმავლობაში ბავშვი სავსებით მორჩა, მხოლოდ ხელი კი მოსჭრეს.

მ. ლაფათქა.

სოფ. უდე

(ახალციხის მაზრა)

სოფელი უდე ახალციხის მაზრაში უდიდესი სოფელია. ცხოვრობს 2600 კომლი. მცხოვრებთა უმთავრეს შემოსავალ წყაროს შეადგენს მებაღეობა.

მიუხედავათ იმისა, რომ ამ სოფელში ინტელიგენცია ძალზე ნაკლებია, მაინც გამოჩნდნენ სოფელში თითო-ოროლა პირნი, რომლებმაც იკისრეს ხალხისაგან დავალებული საქმის გაძღოლა და შესრულება.

აი ამ პირებმა პირველ ყოვლისა დაისახეს მიზნათ, რათა გაეხსნათ სოფელში 7 წლედი შრომის სკოლა. მაგრამ ამისათვის კი საჭირო იყო შენობის აგება, რასაც სჭირდებოდა უეჭველად დიდი თანხა.

არც ამან შეაშინა ხალხი. საქმე [illegible], თორემ სხვა არაფერი მალე მთელმა სოფელმა იკისრა ყოველივე ხარჯები და ერთი წლის განმავლობაში უკვე 7—8 ოთახიანი დიდი შენობა ააგეს სკოლისთვის თავისი სათეატრო დარბაზით.

დღეს-დღეობით არსებობს 4 წლედი და მომავალ წელს უკვე ხალხი მე-5 ჯგუფის გახსნას მოელის, თუ, რასაკვირველია, ადგილობრივი განათლების განყოფილება მოგვაქცევს ჯეროვან ყურადღებას.

სწავლის სიყვარული დღითი-დღე მატულობს. განათლების შუქი ნელნელა აქაც ეფინება ხალხი აქ იმ ზომამდე გათვითცნობიერდა, რომ ეს დიდი საქმე პირველ მოთხოვნილების საგნად აქვთ დასახული.

ბ. დათებაშვილი.

სახერხი ქარხანა ამუშავდა!

(ქალ. სენაკი)

რამოდენიმე ხანია, რაც არ მუშაობდა სენაკის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების სახერხი ქარხანა და წისქვილი, მიზეზი მუშაობის შეჩერებისა იყო ის, რომ ადგ. მეურნეობის განყოფილება აწარმოებდა სახერხი დაზგის ახალ გეგმაზე აშენებას. დღეს უკვე ამუშავდა სახერხი ქარხანა, რომელიც ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას საგრძნობ შემოსავალს მისცემს. ხოლო წისქვილი, სამწუხაროთ ჯერ არ არის ამუშავებული. საჭიროა ადგილობრივმა მეურნეობის განყ. დააჩქაროს წისქვილის ამუშავებაც და ამით ააცდინოს მცხოვრებნი რამოდენიმე ვერსზე [illegible] წისქვილზე საფქვავის ზიდვას.

ბ. ურაპუშვილი.

პროვინციის ქრონიკა

— **პიონერთა ჟურნალი.** 1 იანვარს გამოვა სამხრეთ ოსეთის პიონერთა ჟურნალი ცხინვალში.

— **ცხინვალის მთლიან მომხმარებელ** კოოპერატივთან ახლო ხანში გაიხსნება ფეხსაცმლების სახელოსნო.

— **ზემო-თიონეთში** გაჩნდა საქონლის ჭირი.

— **სიმინდის ფასი.** ახალ სენაკში ამჟამად სიმინდი ღირს ფუთი 80 კ.

— **ახალ-სენაკის** პროფკავშირში ამჟამად ირიცხება 30 წერა-კითხვის უცოდინარი წევრი, რომელთათვის გახსნილია საღამოს სკოლა.

— **ზუგდიდის მაგარი სასმელების** ქარხანა, რომელიც შარშან გაუქმებული იყო, უკვე მუშაობს.

— **დეკემბრის ბოლო** რიცხვებში შეუდგებიან ელსადგურის აგებას ზუგდიდში.

— **თელავის** პოლიტგანათლების განყოფილება ამჟამად აწარმოებს კამპანიას წ.-კ. უცოდინარობის მოსასპობათ ფშავ-ხევსურეთში და ქისტებში.

— **გზების შეკეთება.** ალბულაღის რაიონში ადგილობრივი ძალებით შეაკეთეს ყველა საფოსტო და სასოფლო გზები.

— **მანგლისის** რაიონში დამთავრდა მიწად-მოწყობის საქმე.

საბჭოთა სასამართლო

ფულის გაფლანგვისათვის

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ, ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების [illegible], ბურჭულაძის და [illegible] თანამონაწილეობით, გაარჩია საქმე მოქ. გაგუასი, რომელსაც ბრალი ედებოდა სახაზინო ფულის გაფლანგვაში.

საბრალმდებლო ოქმის მიხედვით საქმის შინაარსი ასეთია: გაგუა ასახურობდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების ეგზეკუტორად. მას ანგარიშებში ციფრების გადასწორების საშუალებით მიუთვისებია პირველად 73 მანეთი. შემდეგ მისთვის სხვადასხვა დავალების საქმეების შესასრულებლად მიუციათ ავანსი 2505 მანეთი 35 კაპ. ამ თანხიდან ანგარიშის ჩაბარების დროს მას დაჰკლებია 1181 მანეთი, რომელიც მას წაუღია ბანკის თამაშის დროს. ბრალდებული გამოტყდა დანაშაულში და აღიარა, რომ პირველ შემთხვევაში მან ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა ცუდ ავადმყოფობის გამო, სხვა შემთხვევაში ბოროტ-მოქმედების მიზეზი იყო სიმთვრალე.

სასამართლომ ბრალდებულს სისხლის სამართლის 119 მუხ. და 116 და 116 მუხლის მეორე ნაწილის ძალით მიუსაჯა სამი წლით დაპატიმრება გამასწორებელ სახლში.

ქრონიკა

— **წითელი სასადილო.** თბ. დამზღვევ კასამ გადასწყვიტა პენსიონერების წითელი სასადილო გადასცეს რომელიმე არტელს.

— **უმუშევართა დაზღვევა.** ახალ უმუშევართა ჩაწერა დამზღ. კასაში დაიწყება ძველ დაზღვეულ უმუშევართა აღრიცხვის შემდეგ.

— **პენსიების გადიდება.** თბ. დამზღვევ კასის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა პენსიონერთათვის დახმარების გადიდება.

— **ექიმების მომზადება.** ჯან. სახ. კომისარიატი ახლო ხანში მოაწყობს სანიტარულ დარგში მომუშავე ექიმთათვის საჭირო ლექცია-მოხსენებებს.

— **საქონლის აღრიცხვა.** საფინანსო ინსპექციამ აღრიცხვაზე აიყვანა 693,675 მსხვილფეხა საქონელი მათზე გადასახადის შემოღების მიზნით.

— **ტრამვაის** სამმართველომ ფოთიდან მიიღო ტრამვაისათვის 4 ვაგონი სააღმშენებლო მასალა.

— **ტრამვაის ახალი ხაზი.** ტრამვაის სამმართველომ დაასრულა სასაკლაომდე ტრამვაის ხაზის გაყვანა.

— **ყველის დამზადება.** ამჟამად საქართველოში არსებობს 106 სახ.-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთაგან 25 კოოპერატივი უმთავრესად ამზადებს ყველს.

— **ტყეები.** მიწად. მოწ. სახ. კომისარიატის ცნობით საქართველოს მიწა-წყლის მესამედი უჭირავს ტყეებს.

— **აგროდახმარება.** 23—24 წ. განმავლობაში აგრო-დახმარების განყოფილებამ მაზრებში გლეხებისათვის აგრო-დახმარების გასაწევათ დახარჯა 34 ათასი მან.

— **ხეხილების სანერგე.** თბ. აღმასკომის მიწად-მოწ. განყოფილებამ გადასწყვიტა ხაშმში მოაწყოს ხეხილების სანერგე.

— **ზემო-ავჭალის** ელექტროქსელის მავთულების მოსაწყობათ საჭიროა 1.257.552 მან.

— **ტრამვაისათვის** საჭირო მასალები ამ დღეებში მიღებული იქნება ჩეხო-სლოვაკიიდან.

— **ტყეების დასაცავათ.** თბილისის ახლო-მახლო ახლად გაშენებული ტყეები შემოღობილი იქნა ეკლიანი მავთულის ხლართებით 5 ვერსის მანძილზე.

— **[illegible] ინსტიტუტის** სტუდენტების 30 პროც. განთავისუფლებული იქნა სწავლის გადასახადისაგან.

— **სოფლის მეურნეობისათვის.** თბ. აღმასკომის მიწად-მოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა შეიძინოს რამდენიმე ტრაქტორი.

— **ლეჩხუმის მაზრის** სათვისტომოს ალმასბიურო 23 დეკემბრიდან დაიწყებს სათვისტომოს წევრთა რეგისტრაციას, რომელიც იწარმოებს მუხრანის ქუჩა № 4 მესამე უბნის სახალხო სასამართლოს შენობაში, ნაშუადღევის 3—5 საათამდე ალმასბიუროს მორიგ წევრთან. რეგისტრაციაში გატარება სავალდებულოა.

შემთხვევები

— **შეპყრობა.** 25 დეკემ. შეიპყრეს მ. ბატაშვილი, რომელსაც ბრალდება დიდუბეში მდებარე საბ. ვაჭრო [illegible] 230 მან. [illegible] მოპარვა.

— **ქურდობა.** 25 დეკ. ფრეილინის ქ. № 10, გატეხეს მოქ. ანტონ ბოტიშვილის ბინა, წაიღეს [illegible] მან. ნივთები.

— ამავე დღეს ვაშლოვანის შესახ. № 2, გაქურდეს სოფიო [illegible] ბინა. წაღებულია 270 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ზუბალაშვილის ქ. № 3, მოქ. აბრამ [illegible] ბინიდან მოიპარეს 30 მან. ნივთები.

ხელოვნება

— **კონცერტი.** დღეს, საღამოს 8 ნახ. საათზე პირველ კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება კონცერტი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთა-სვლა მგზავროსნობის განყოფილების სასარგებლოდ.

კონცერტში მონაწილეობას ღებულობენ სახელმწიფო აკადემიური ოპერის მსახიობნი: მრავალი, ქუმსიაშვილი და ქაშაკაშვილი, ცაგარელისა და სხვები. დაუკრავს ქართული ახალგაზრ. მუსიკ. საზოგადოების ორკესტრი.

შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს პროფ. ალ. ჯავახიშვილი.

— **კინო სოფლად.** ახალსენაკის კინოში უმთავრესათ აჩვენებენ რევოლიუციონურ სურათებს. ფასები ხელმისაწვდომია.

— **ოპერა.** დღეს წარმოდგენილი იქნება „ჰუგენოტები“.

— **დრამა.** დღეს წარმოდგენილი იქნება „ვინძორის მხიარული ქალები“.

— **ცირკი.** დუროვის გასტროლი.

— **ანტირელიგიური საღამო.** ორშაბათს 29 დეკ. წითელ-არმიელთა კლუბში გაიმართება ანტირელიგიური საღამო.

— **სანდრო ინაშვილი.** მილანში სახ. ოპერო სცენაზე დიდის წარმატებით გამოდის თბილისის სახელმწიფო ოპერის მომღერალი სანდრო ინაშვილი. მილანის მუსიკალური პრესა დიდის აღფრთოვანებით ეგებება ახალგაზრდა მომღერალს და ამბობს, რომ მას დიდი მომავალი აქვს.

დღეს კინოებში

— **[illegible]**—„გრაფ მონტე-კრისტო“ 3 და 4 სერია.

— **სოლეი**—„სამი სიცოცხლე“.

— **მინიონ**—„წითელი პარტიზანები“.

— **აპოლო**—„ქალი გზაჯვარედინზე“ მეორე სერია.

— **თვითმფრინავი** — „ავანტიურისტი ქალი მონტე-კარლოდან“.

სარენტო გადასახადის შესახებ

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის 1923 წლის 12-ნოემბრის დეკრეტით, კავშირის ტერიტორიაზე შემოღებულია სარენტო გადასახადი იმ მიწებზე, რომელიც უჭირავს ქალაქებს. ამიერკავკასიაში და კერძოთ საქართველოში ამ დეკრეტის ცხოვრებაში გატარება სხვადასხვა მიზეზების გამო დაგვიანდა, სარენტო გადასახადის შემოღება განზრახულია 1925 წლის 1 იანვრიდან.

თანამედროვე ეკონომიური მეცნიერება მიწის რენტას ჰყოფს ორ ნაწილად. ერთი არის აბსოლიუტური ან ძირითადი რენტა, მეორე დიფერენციალური ან დამატებითი. პირველი, ე. ი. ძირითადი რენტა წარმოადგენს კუთვნილებას ყოველივე მიწის ნაკვეთისას, განურჩევლად ამ მიწის ნაკვეთის ხარისხისა და მისი ბუნება გამომდინარეობს თვით მიწის საკუთრების უფლებიდან, ვინაიდან რანაირი მიწის ნაკვეთიც არ უნდა ავიღოთ ჩვენ, მის მფლობელს შეეძლო ამ მიწის გაყიდვა, მისი ფულად გადაქცევა.

მიწის ნაციონალიზაციის დროსაც არის შენახული ყველა პირობები მიწის რენტის შექმნისათვის, თუ ამავე დროს, რასაკვირველია, ადგილი აქვს აგრეთვე კერძო კაპიტალის ბრუნვასაც. მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ მიწადმფლობელობის ახალი ფორმების მიხედვით, ძირითადი რენტა აღარ შეადგენს კუთვნილებას უშუალოდ მისი პატრონისა, იგი არის სახელმწიფოს კუთვნილება, როგორც ყველა მიწების უზენაეს მფლობელის.

12 ნოემბრის კანონით ძირითადი რენტა უნდა შედიოდეს საკავშირო სახელმწიფო ხაზინაში, ხოლო დამატებითი რენტა რჩება ადგილობრივ ბიუჯეტის სარგებლობაში.

როგორ უნდა გამოირკვეს რენტის ნორმები საერთოდ?

რენტის ნორმების საუკეთესო მაჩვენებლად უნდა მივიღოთ საიჯარო ფასები და აგრეთვე წმინდა საშუალო შემოსავალი იმ მიწებზე, რომელიც უჭირავს ქალაქებს. ეს არის ყველაზე უფრო სწორი და ყველაზე უფრო მარტივი გზა მიწის რენტის გამოსარკვევად.

რანაირი მიწის ნაკვეთზე და რა პერიოდის ცნობებით ვისარგებლოთ, რომ გამოვარკვიოთ ძირითადი რენტის განაკვეთები ქალაქის მიწებზე? ამ საკითხს სწორად მიუდგებით, თუ საფუძვლად ჩვენ მსჯელობას დაუდებთ შემდეგს: როგორ იქნებოდა გამოყენებული ქალაქის მიწები, რომ ისინი, მაგალითად დღეს, სრულიად დაუსახლებელი ყოფილიყო, რა ნივთიერ შედეგს მოგვცემდა ასეთი მიწების ექსპლოატაცია.

საქართველოს პირობებში, სადაც სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მოსახლეობის უმთავრეს საქმიანობას ყოველივე სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის გამოსადეგი მიწის ნაკვეთი, საერთოდ დასახლებულ რაიონში, გამოიყენება პურეულის ნათესებისათვის, ბოსტნისათვის, ბაღ-ვენახისათვის ან სხვა რომელიმე სპეციალურ კულტურისათვის; ეს მით უფრო, რომ ქალაქების ქვეშ, როგორც საერთო მოვლენა, იმყოფება სასოფლო-მეურნეობისათვის ყველაზე უფრო ვარგისი მიწები, რომელიც დღეს თავისუფალი რომ ყოფილიყო, გამოყენებული იქნებოდა სწორედ ამ დანიშნულებისათვის.

როდესაც ასეთი მიწები დაჭერილი არის ქალაქების მიერ, როდესაც თვითეული მისი ნაკვეთი აღნუსხული არის ადამიანის უსაჭიროეს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად — საცხოვრებელ შენობის ასაგებად, მაშინ შემოსავალი ასეთ მიწებზე იწყებს ზრდას და, ქალაქის დაარსების შემდეგ, ეს შემოსავალი, რასაკვირველია, გადააჭარბებს მის წინანდელ შემოსავალს დამატებითი რენტის წარმოშობის მიზეზით. ამასთან ერთად გაიზრდება შემოსავალი ქალაქის ირგვლივ მდებარე მიწებზე, რადგან თავისთავად აიწევს მოთხოვნილება ამ მიწებზე.

მაშასადამე, დამატებითი რენტის წარმოშობასთან ერთად, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ ქალაქის მიწებისათვის, იზრდება თავის თავად შემოსავალი ქალაქის ახლო მდებარე მიწებზედაც. აქედან ცხადია, რომ ძირითადი რენტის გამორკვევისათვის, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული შემოსავალი ქალაქის ახლო მდებარე მიწებზე, კონკრეტულად: საიჯარო ფასები ქალაქის ახლო მდებარე მიწებზე (ნათესები, ბოსტანი და სხვა) და ქალაქის განაპირა უბნების გაუშენებელ ადგილებზე, შემდეგ,—წმინდა საშუალო შემოსავალი ამავე მიწებზე,—აი მთავარი მაჩვენებელი ძირითადი რენტისა იმ მიწებზე, რომელიც უჭირავს ქალაქს. ამ განაპირა უბნებიდან, ქალაქის ცენტრისკენ მიმართულებით, სხვადასხვა ფაქტორების (უმთავრესად ეკონომიური) ზეგავლენით იწყებს ზრდას უკვე დამატებითი რენტა.

ძირითადი რენტა იქნება, რასაკვირველია, ერთიანი მთელ ქალაქისათვის ე. ი. თუ გადაწყდა მაგალითად, რომ თბილისში თვითეულ კვადრ. საჟენზე დაწესებულ იქნეს 1 კაპ., ეს 1 კაპეიკი გადახდება ყველა მიწებს, მიუხედავათ იმისა, ქალაქის ცენტრშია იგი მოთავსებული, თუ მის განაპირა ნაწილში.

სულ სხვანაირი პირობები არსებობს დამატებითი რენტისათვის. იგი, როგორც ზევითა ვსთქვით, წარმომდგარი არის მრავალი ფაქტორების ზეგავლენით, რომელთაგან პირველი ადგილი უსათუოდ ეკონომიურ ფაქტორს უჭირავს. ამის და მიხედვით არ შეიძლება დამატებითი რენტა იმ მიწებზე, რომელიც იმყოფება ცენტრში გაუთანასწოროთ ქალაქის განაპირა მიწებს. რათა? იმიტომ, რომ ცენტრში მცხოვრებთა მჭიდროობა უფრო დიდია, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვი მეტი, მოთხოვნილება მიწებზე უფრო მეტი და შემოსავალიც, ამისდაგვარად უფრო დიდი. მაშასადამე, წინააღმდეგ ძირითადი რენტისა, რომელიც არის ერთი და იგივე ქალაქის ყველა მიწებისათვის, დამატებითი რენტა უკვე სხვადასხვანაირი იქნება ქალაქის ამა თუ იმ ნაწილისათვის, იმის და მიხედვით, თუ რა წონა აქვს, რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ნაწილს ქალაქის სამეურნეო, თუ კულტურულ-ადმინისტრატიულ ცხოვრებაში.

როგორ სდგას ეს საკითხი ჩვენში? 12 ნოემბრის დეკრეტი, სხვათაშორის, ამბობს, რომ, 1) სარენტო გადასახადი გავრცელებულ უნდა იქნეს ქალაქის მიწებზე, 2) ქალაქებად აღიარებული უნდა იყოს ის პუნქტები, რომელიც დამტკიცებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ, 3) სარენტო გადასახადი არ ვრცელდება ყველა იმ ადგილებზე, რომელიც იხდის მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს. სულ უკანასკნელ დრომდე (1924 წლ. აგვისტომდე) საქართველოში არსებობდა ქალაქური ხასიათის 36 პუნქტი. ამ რიცხვიდან 1924 წ. აგვისტოში საქართველოს ცაკის მიერ დამტკიცებულია 24 პუნქტი.

ეს პუნქტები შემდეგია: **აღმოსავლეთ საქართველოში:** თბილისი, ახალ-ქალაქი, ახალციხე, გორი, ხაშური, ბორჯომი, დუშეთი, თელავი, სიღნაღი, ლიუქსემბურგი, შულავერი. **სამხრეთ ოსეთში:** ცხინვალი. **დასავლეთ საქართველოში:** ქუთაისი, ხონი, სამტრედია, ჭიათურა, ზესტაფონი, ფოთი, ზუგდიდი, სენაკი, ოზურგეთი, ონი. **აჭარაში:** ბათომი. **აფხაზეთში:** სოხუმი.

დეკრეტის ძალით ყველა ამ ქალაქებზე გავრცელებული უნდა იყოს სარენტო გადასახადი.

მაგრამ აქ საქმე ისე მარტივად არა სდგას, როგორც ეს შესაძლებელია პირველად გვეჩვენოს. საქმე იმაშია, რომ ნაწილი ამ ქალაქებისა იხდის მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, თუ სავსებით არა, ნაწილობრივ მაინც, ე. ი. ქალაქის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ეწევა სოფლის მეურნეობას, რომელიც სოფლის მეურნეობითა სცხოვრობს, ვალდებულია გადაიხადოს, და იხდის კიდეც, სასოფლო-სამეურნეო გადასახადს.

აი, აქ არის ერთგვარი წინააღმდეგობა: ერთის მხრივ დეკრეტი გვავალებს, რომ ასეთ ქალაქებში შემოღებულ იქნეს სარენტო გადასახადი, მეორეს მხრივ იგივე დეკრეტი ამბობს, რომ ის ადგილები, რომელიც იხდის სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, აუცილებლად განთავისუფლებული უნდა იყოს სარენტო გადასახადიდან.

ასეთ წინააღმდეგობას აქვს ადგილი ჩვენში. მაგრამ გულისხმობს თუ არა ეს გარემოება იმას, რომ ასეთ პუნქტებში, საერთოდ, შემოღებული არ უნდა იყოს სარენტო გადასახადი?

რამდენადაც ჩვენ ვიცით, პრინციპიალურად მიღებულია ის აზრი, რომ სარენტო გადასახადმა უნდა შესცვალოს სხვა გადასახადები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო გადასახადიც. ეს არის მხოლოდ დროის საკითხი, და თუ ქალაქებში ამის განხორციელება შესაძლებელია დღესვე, სოფელ ადგილებში, შეიძლება მოხერხდეს ერთი, ორი ან სამი წლის შემდეგ როგორ უნდა მოხდეს შეთავსება ამ ორ მომენტის?

ჩვენი აზრით ამ საკითხის მოგვარება მაინც შესაძლებელი არის, თუ, რასაკვირველია, ამავე დროს დაცული იქნება ერთგვარი სიფრთხილე.

იმ პირებზე, რომელნიც სცხოვრობენ ამა თუ იმ ქალაქში ეწევიან სოფლის მეურნეობას და მოვალენი არიან გადაიხადონ სასოფლო სამეურნეო გადასახადი, პირობით გაწესებული იქნება სარენტო გადასახადი საერთო წესით, ე. ი. გვეცოდინება, რომ ამა თუ იმ პირზე, ამა და ამ ცნობების მიხედვით, მოდის ესა და ეს სარენტო გადასახადი. თუ აღმოჩნდა, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი (ფულად) მეტს შეადგენს სარენტო გადასახადზე, ზედმეტი თანხა გადაერიცხება მეორე წლისათვის, ე. ი. 1926—წ. აღარ გადაიხდის არაფერს. და თუ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ნაკლები გამოვიდა სარენტო გადასახადზე, მას მოუხდება ამ განსხვავების დამატება, რომ შეასრულოს მასზე გაწერილი გადასახადი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ტეხნიკურად სავსებით მოსახერხებელი იქნება და არავითარ გაუგებრობასაც არ გამოიწვევს. პირიქით, გადასახადის ამკრეფ ორგანოთა მუშაობაში არევდარევას ექნება ადგილი სწორედ მაშინ, როდესაც ამა თუ იმ ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელიც არ ეწევა სასოფლო მეურნეობას, გადაიხდის სარენტო გადასახადს, ხოლო იმავე ქალაქის მოსახლეობის მეორე ნაწილი—სასოფლო-სამეურნეო გადასახადს.

ამ გვარად სარენტო გადასახადი ჩვენი ადგილობრივი ბიუჯეტის თვალსაზრისით უფრო მეტი სარგებლიანია (დამატებითი რენტა სავსებით რჩება მას) და მოსახლეობისთვისაც უფრო იოლი. საერთოდ კი, სარენტო გადასახადის შემოღება ქალაქებში, უნდა ვიფიქროთ, არის დასაწყისი გადასახადთა თითქმის ყველა სახის გაერთიანების, საგადასახადო აპარატის, გადასახადის გაწესების და შეკრების წესის განმარტივების და გაიაფების.

გიორგი ფერაძე.

მიიღება 1925 წლისათვის ხელისმოწერა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე

ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

„კომუნისტზე“

ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანებენ ხვედრ ფულს, დაურიგდებათ შემდეგი

უფასო დამატებები

1. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება „ჩირაღდანი“—8-დან 12 გვ.
2. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება „მეცნიერება და ტეხნიკა“—8-დან 12 გვ.
3. ფ. მახარაძის წიგნი: „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში“
4. ფრ. ენგელსი: „კომუნიზმის პრინციპები“
5. ქ. ორაგველიძე: „რელიგია და მარქსიზმი“
6. მიხ. ადამაშვილი-ჯავახიშვილი: „კვაჭი კვაჭანტირაძე“

დამატებები შემდეგნაირათ იქნება განაწილებული:

ყველა (თვიურიდან დაწყებული) ხელის მომწერლებს მიეცემათ უფასოთ:

1. „ჩირაღდანი“, 2. „მეცნიერება და ტეხნიკა“

ორივე გამოცემა დასურათებული იქნება.

გარდა ამისა

ექვსი თვით ხელის მომწერლებს, რომლებიც **წინდაწინ** შემოიტანებენ ხვედრ ფულს მიეცემათ:

1. ფ. მახარაძის წიგნი—„მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში“
2. ფ. ენგელსის წიგნი—„კომუნიზმის პრინციპები“
3. ქ. ორაგველიძის—„რელიგია და მარქსიზმი“

ერთი წლით ხელის მომწერლებს, რომლებიც **წინდაწინ** შემოიტანენ ხვედრ ფულს მიეცემა:

1. მიხ. ადამაშვილის-ჯავახიშვილის წიგნი „კვაჭი კვაჭანტირაძე“

გაზეთი ღირება:

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელების, მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებლებისათვის

გაგზავნით

1 თვით	75	კაპ.
2 „	1—45	„
3 „	2—15	„

ერთი წლით 8—50 კაპ.

4 თვით	2—85	კაპ.
5 „	3—55	„
6 „	4—25	„

ყველა დანარჩენებისათვის:

თბილისში მიტანით:

1 თვით	1 მან.	
2 „	1—95	კაპ.
3 „	2—90	„
4 „	3—85	„
5 „	4—80	„
6 „	5—76	„
1 წლით	11—50	„

პროვინციაში გაგზავნით:

1 თვით	1 მ. 20	კაპ.
2 „	2 მ. 35	„
3 „	3 მ. 50	„
4 „	4 მ. 65	„
5 „	5 მ. 80	„
6 „	6 მ. 95	„
1 წლით	12 მ. 85	„

საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში გაგზავნით 1 თვე 1 მან. 50 კაპ.
უცხოეთში — — — — გაგზავნით 1 თვე 2 მან. 50 კაპ.

გაზეთი გამოვა 4-დან 6 გვერდამდე.

გაზეთს ჰყავს კორესპონდენტები ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქებში და დაბებში. საკმაოთ ფართო ქსელი კორესპონდენტებისა მოეპოება მას ჩვენს სოფლებში, მათი რიცხვი თანდათან იზრდება.

საკუთარი კორესპონდენტები: ბაქოში, ერევანში, კავკავში, მოსკოვში, ლენინგრადში, პარიზში, ლონდონში, ბერლინში, რომში

მთავრობის მოქმედებანი, და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. დეკემბრის 22.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. ნოემბრის 26-ს თარიღით გამოცემული („ზარია ვოსტოკა“-ს 277 №-რი 1923 წ. დეკემბრის 1-სა) დადგენილების მე-4 კარის მე-2 მუხ „ბ“ პუნქტის შესაცვლელად და ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. აპრილის 18-ს დადგენილების მუხ 3 ლ. „შ“ პ. „ა“ სამოქმედოდ შემოღების შესახებ—1924 წ. აპრილის 29 თარიღით გამოცემული („ზარია ვოსტოკა“-ს 566 №-რი 1924 წ. მაისის 1-სა) დადგენილების შესაცვლელად—ყურძნის მასალისაგან და ნედლი ხილისა და მარწყვეულობისაგან გამოხდილ სპირტზე დაწესებულ იქნეს აქციზი განაკვეთად 5 კაპ. გრადუსზე.

2. ახლად დაწესებული სააქციზო განაკვეთი გავრცელდება მთლად ხელთქონებულ ხილეულობისა და ყურძნეულობის სპირტის მარაგზე, რომლისთვისაც აქციზი გადახდილი არ იქნება ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებამდე.

დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ა. შავერდოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— თბილისის ორგანიზაციის **მესამე რაიკომი** იუწყება: ქვემოჩამოთვლილ ამხანაგების მიერ შემოტანილია განცხადება პარტიაში მიღებისა და წევრათ გადარიცხვის შესახებ.

ყველა ამხანაგებსა და გარეშე პირებს, თუ ვისმეს რამე საწინააღმდეგო მოეპოვება ქვემოჩამოთვლილ ამხანაგების მიმართ ვთხოვთ მომმართონ რაიკომში (შაუმიანის ქ. № 1) ერთი კვირის განმავლობაში:

პარტიაში მისაღებათ: აკოფოვი ხაჩატურ, ხაჩატუროვი ხაჩატურ, სტეფანოვი ასლან, ყაზაროვი სურენ, დარპინიანცი მათეოს, ჩხარტიშვილი იონა, სმირნოვი ნიკოლოზ ვართაპეტოვი არმენაკ, მატინიანი ნიკიტა, ტერუნოვა სოფიო, ვართანოვი მიხეილ, სააკიანი ანდრანიკ, ნაბოჩენკო გიორგი, ა[illegible] აბრამ, ნაიბოვი ბაგირ, პეტროსიანი ჰაიკ, მირზოევი გიორგი, ალაჯანოვი ბაგრატ, ხაჭაპურიძე (პიროჟკოვი ნიკანორ), ბარხუდაროვი ისაკ, სეკო[illegible] ზურაბ, [illegible] მიხეილ, ვადალოვი გიორგი.

პარტიის წევრობაზე გადასარიცხათ: ამირსკოვი ავეტიქ, ოქროზიანი სათენიკ, მურადოვი მელიქ, კაკიაშვილი გარეგინ, გრიგორიანი ნიკოლოზ, ბარსეგოვი სარიბეგ, ბეგლიაროვი მიხეილ, აირაპეტოვი სტეფან, მრიკოტენკო ვლადიმერ, ქუბლაშვილი ვლადიმერ, გრიგოლია ნიკონორ, ლუკაშევიჩი პეტრე, ჩუკაევი მიხეილ, ვიშნიოვეცკი დიმიტრი, ხალილოვ ჰამიდ, ქურბანოვი გულ-ახმედ, გალოიანი გრიგორ, ბარსეგიანი ტიგრან.

არსრაიკომის საგიტ-საპროპ განყოფილება წინადადებას აძლევს პოლიტსკოლების, წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის და მცირეწლოვანთა სალიკვიდაციო სკოლების მასწავლებლებს შემოიარონ რაიკომში საკონტროლო წიგნაკებით დღეს, 27 დეკემბერს დილით 9—3 საათამდე და საღამოთი 6—8 საათამდე.

გამგე **მდივანი.**

— ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ ა. ლ. კ. კ. მე-12 **საერთო-საქალაქო სამაზრო კონფერენცია გაიხსნება 27 დეკემბერს,** საღამოს 5 საათზე, სახალხო კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში.

ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მდივანი **მეტონიძე.**

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება, რომ კვირას, საღამოს სრულ 7 საათზე, მე-3 რაიონის პარტიულ კლუბში შესდგება **სად. ნავთლუღის უჯრედის საღამო.**

შესვლა თავისუფალია პარტიის წევრებისთვის, კანდიდატებისა და მათი ოჯახებისათვის.

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს 27 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე მე-3 რაიკომის ბინაზე შესდგება **მე-3 რაიონის უჯრედთა მდივნების თათბირი.**

ყველა მდივნების დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, 27 დეკემბერს, დილის 10 საათზე, თბილისის კომიტეტის სამდივნოში **შესდგება საქ. კომპარტიის თბილ. კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

დასწრება სავალდებულოა თბილ. კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის

მდივანი **კახიანი.**

— **ქალაქის რაიკომი** იუწყება: დღეს, 27 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე. რაიკომის შენობაში შესდგება უჯრედების აგიტაცია-პროპაგანდის ორგანიზატორთა და ქალაქის რაიონის „რემედასის“ უჯრედების რწმუნებულთა თათბირი „რემედასის კვირეულის“ ჩატარების მოსამზადებლათ.

დასწრება სავალდებულოა ყველა ზემო დასახელებულ ამხანაგებისთვის.

მდივანი **სტურუა**

— **არსრაიკომი** იუწყება: კვირას, 28 დეკემბერს, დილის 9 საათზე შესდგება **რაიკომის ბიუროს სხდომა.** ყველა ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს ევალებათ აუცილებლათ გამოცხადდენ რაიკომში ბიუროს სხდომაზე

აგასოვი ივანე, არუთიანცი ენოქ, აფხაზავა ბართლომე, ანტონოვი ივანე, ალექსეევი ივანე, ავაქოვი აირაპეტ, ანტონოვი დანიელ, ასლანოვი ვართან, ბეგაშვილი ალექსანდრე, ბონდარენკო პროკოფი, ბერმანი ბორის, ბაღდასაროვი მიხ. ივანეს ძე, ბაქაშვილი ივანე, ბარსეგოვი სტეფანე, ვოლკოვი ვალენტინ, ვართანიანი სურენ, ვართანოვი სარქის, განოჩენკო დანიელ, გალიაევ ტიმოთე, გამყრელიძე ივანე, გულისაშვილი არჩილ, გუჩიანც ელიზ, გეტცი იაკობ, გორლოვი ვასილი, გორგიჯანოვი გიორგი, დიასამიძე მიხეილ, დოლაქიშვილი ვენედიქტე, ჯავახოვი მიხეილ, დალაქოვ ბაგრატ, დავითხანიანი აკოფ, დოლუხანოვი იოსებ, ეძგვერაძე პავლე, ერემიანი გრიგოლ, ენიაზაროვ სამსონ, ზაცეპა გრიგოლ, ჟურავლიოვი ივანე, იორდანიშვილი ანდრია, კლუშინი ილია, კრავცევიჩი ალექსანდრე, კონევი აფანასი, კუვირიანი ივანე, კლიმენკო სვიმონ, კრივონოსოვი ანდრია, კოკონაშვილი ნიკოლოზ, კატოლევსკაია ანნა, ლევიცკი ალექსანდრე, მალაცინსკი იოსებ, მელაშვილი სპირიდონ, მურადიან პოღოს, მელიქჯანოვი გარეგინ, მიკირტუმოვ სერგო, მელქონიანც ამაზასპ, მესხი არჩილ, მუცენიეკი კარლ, მურადოვი იასობექ, მარკინი ივანე მერაბიანი ოჰანეს, მირიანაშვილი მარია, ოვაკიმოვი გეორქ, ოჰანჯანოვი იაგორ, ორლოვი ანისიმ, ოსიპოვი სერგო, პროკოპჩუკი ნიკოლოზ, პეტროსოვი მიხეილ, პანასიანი არშაკ, სალტიკოვი პავლე, სალახაია ივანე, სკიასოვი გრიგოლ, სამოდუროვი ნიკოლოზ, სანაძაშვილი გრიგოლ, სარქისოვი ამირჯან, საბონჯიანი აბრამ, თვალაძე ალექსანდრე, ტერ-არუთინოვ რუბენ, თულაა სერაფიონ, თათუაშვილი ალექსანდრე, თოიძე ილია, უჩაფქოშვილი კონსტანტინე, ჩერნიშევი ივან, ჩიკაშვილი ნიკოლოზ, ჩიტაფიანი ივან, ხელაია სამსონ, მელევი დიმიტრი, შარაძე დავით, შმელევი აპოლონ, ფრეილიხ აბრამ, ფეოდოროვა ოლგა, ხაჩატუროვი ყაზარ, ყლიხბარიანც გეურქ, წოვიანოვი ალექსანდრე.

მდივნის მაგიერ მელაძე.

განცხადებები

29 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ჩოდრიშვილისა და კეცხოველის სახელობის კლუბში (მუშტაიდის შესავალთან) შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი მენშევიკების მიერ ვერაგულათ მოკლულ მუშა

ილარიონ გიორგაძის

წლის თავის აღსანიშნავათ.

3191 2—1 კომისია.

ღრმად დამწუხრებულნი ბესარიონ კალოიანის შვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, საყვარელი და დაუვიწყარი ბიძაშვილის

შალიკო იასონის-ძე კალოიანის

გარდაცვალებას

გამოსვენება კვირას 28 დეკემბერს დღის 12 საათზე საკუთარ ბინიდან—მილიუტინის ქუჩა № 3 დიდუბის გალავანში.

1—1 № 3194

გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს დავით ალექსანდრეს-ძე ჭუბაბრია და ნესტორ გრიგოლისძე ლოლობერიძე გარდაცვალებას პირველის ბიძის და მეორის გამზრდელის

დავით როსტომისძე ჭუბაბრიას

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია 28 დეკემბერს დღით კვირას სოფ. საწულიკიძეოში, გამოსვენება ცხედრისა მოხდება ქ. ხონიდან, ნესტორ გრიგოლისძე ლოლობერიძის ოჯახიდან

1—1 № 3196

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: აგრაფინა, ვერიჩკა, გულჩინა, ვალიკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უეცრათ გარდაცვალებას თავიანთი მამის

თედორე კეშელავას

დასაფლავება მოხდება კვირას 28 დეკემბერს სოფ. კოხნარში,

1—1 № 3192

ღრმად დამწუხრებული მშობლები ალექსანდრა და იასონი, და ლილი კალოიანი, დეიდაშვილი თინათინ კოტრიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 25 დეკემბერს გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

შალვა კალოიანი

გამოსვენება კვირას, 28 დეკემბერს შუადღის 12 საათზე საკუთარ ბინიდან, მილიუტინის ქუჩა № 3 დიდუბის გალავანში

2—2 № 3.185

ფოტოგრაფი გეგეშიძე

იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სამუშაოს, აგრეთვე ადიდებს სურათებს ხელმისაწვდომ ფასებში

პლეხანოვის პრ. № 80. ნ. 398. 5—3

დამწუხრებულნი დები ოლინკო პაპუნაშვილისა, ნ[illegible]ლია კვაჭანტირაძისა, დისწულები: სევერიანე მახარაძე, პარმენ, ილარიონ კიკვაძეები, სამსონ, ტიტიკო პაპუნაშვილები, [illegible] მიხაკო ურუშაძე აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ მათი პირველთა ძმის და [illegible]

ნესტორ საყვარლის-ძე ჟორდანიას

გარდაცვალებიდან წლის თავზე, 28 დეკემბერს 12 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერა) გადახდილი იქნება პანაშვიდი.

1—1 № 3189

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: მართა და ვასილი შვილებითურთ: თამარი, ვლადიმერ და ნინო მალხაზიშვილები, უბედური მეუღლე თამარი, სიდედრი მარიამი. სიმამრი სოსო და ცოლისდა ალექსანდრა (საშა) მაჭავარიანები, სიძე ვასილი მიკირტუმოვი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 23 დეკ. უდროვოთ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი.

მიხეილ ვასილის-ძე მალხაზიშვილი

პანაშვიდი დღეს საღამოს 5 საათზე ბინაზე —პირველი თუმანოვის ქუჩა № 6, დაკრძალვა— ხვალ წმინდა ნინოს სასაფლაოზე, გამოსვენება მოხდება დილის 11 საათზე ბინიდან.

1—1 № 3192

სახელმ. დრამა

დღეს, 27 დეკემბერს

ვინძორის მხიარული ქალები

კვირას, 28 დეკემბერს

ლატავრა

ნ. 459 3—2

სახელმწ. ოპერა

დღეს, 27 დეკემბერს

ჰუგენოტები

კვირას, 28 დეკემბერს

გოფმანის ზღაპრები

ნ. 458 3—2

შაბათს 27 დეკემბერს
მუშათა ცენტრალურ კლუბში
(პლეხანოვის პროსპექტი) საღამოს 6 საათზე დანიშნულია
ქართველ მხატვართა სურათების გამოფენის
საზეიმო გახსნა

სთხოვენ დაესწრონ: პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივ და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

მუშათა ცენტრ. კლუბის გამგეობა.

ცეკავშირი თბილისი, შტაბის ქ. №№ 4—6

საკანცელარიო ნივთების და წიგნების საწყობში იყიდება:

საბუღალტერო წიგნები
პაკეტები ქაღალდებისათვის
ბლოკ-ნოტები
ჯიბის წიგნაკები
რეგისტრატორები
უდები საქმეებისათვის
კალენდარები
კონვერტები
ქაღალდები
ფანქრები
და სხვა

საქართველოში ცეკავშირს აქვს სამონოპოლიო უფლება საკანტორო ნივთების და სხვადასხვა საკანცელარიო ნივთების— ფაბრიკა **„სვეტოჩ“-ის** (ყოფ. **ოტტოკირხნერის**) ნაწარმოებების გაყიდვაზე.

ცეკავშირი უშვებს თავის საწყობიდან და იღებს დაკვეთას **„სვეტოჩის“** პრეისკურანტების მიხედვით.

[illegible]

3—3

კერძო
გინეკოლოგიური და ქირურგიული
საავადმყოფო

თერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.

ამბულატორიული მიღება მეანობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13.

ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.

ნის. 372 100—12

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

ბავშვთა და მოზრდილთა შინაგანი ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.

ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.

პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.

№ 2969 25—19

კომუნალური წყალსადენი

ყველა აბონენტების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ვინაიდან სიცივეები იწყება და მოსალოდნელია წყალსაზომების ყინვისაგან დაზიანება (ყინვისაგან იბერება და სამუდამოთ ფუჭდება), ამიტომ თანახმად არსებული წესისა, ისინი მოვალენი არიან, ასეთების ყინვისაგან დაცვას მიაქციონ ყურადღება და **შეახვიონ თბილ ფალასებში** ან სხვა რაიმეში ისე, რომ ყინვამ წყალსაზომები არ დააზიანოს.

ყველა იმ სახლებში, სადაც წყალსაზომები ყინვისაგან გაიბერებიან აბონენტებს გადახდებათ საზომის სრული ღირებულების საფასური და ამის შესახებ აღძრული რაიმე შუამდგომლობა სრულიად არ იქნება განხილული.

წყალსადენის დირექტორი ბრეგაძე.
კანც. გამგე ქურთიშვილი. ნ. 465 3—1

ექიმმა

დიტრიხმა

ავადმყოფობის შემდეგ

განაახლა

ავადმყოფების მიღება გერმანელთა საავადმყოფოში

ქვ. № 2837—25—25

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. დღ. 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6

მისამართი: რუსთაველის პროსპ. [illegible] (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩ[illegible]

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებათა ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—23

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

3083 25—10

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალერიისა. **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

13—14 2746

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 25—25 № 2850

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა სნეულებათა ავადმყოფებს და უწევს სამეანო დახმარებას. მიღება დილის 8—10-მდე საღ. 3—7-მდე. ოლღას ქუჩა № 35

25—15

ექიმი

პ. რ. ვართანოვი

სიფილისი. კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

მიღება: დილით 9—10 ს. საღ. 5—7 ს.

მისამართი: სურამის ქ. № 9. კუთხე სადგურის ქუჩისა. რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

25—11

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ისაკ ქლიბაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

3190 1—1

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი ზაქრო კირაკოზოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. [illegible] 1—1

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა სამ. ულუკიძის ქუჩა №4.